მილოცვა

მენეჯმენტის უმაღლესი ევროპული სკოლის „ESM-თბილისის" რექტორს ბატონ სულიკო ქადაგიძეს

ბატონო სულიკო,

დიდი კმაყოფილების გრძნობით გილოცავ შენ და „ESM-თბილისის" თანამშრომელთა მთელ კოლექტივს თქვენი სასწავლებლის დაარსების მეათე წლისთავს.

უმაღლესი განათლების დაწესებულებისათვის ათი წლის იუბილე იქნებ არ იყოს ბევრი, მაგრამ ამ ათი წლის მანძილზე ESM მეტად მნიშვნელოვან, თანამედროვე ტიპისა და უკვე დიდი ავტორიტეტის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბდა. თავად სწავლების პრინციპი იყო განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად მძიმე და რთულ პერიოდში, როდესაც ძირეულად იცვლებოდა ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები, დამკვიდრებული სტერეოტიპები, ჩვევები და შეხედულებები, თქვენ მიზნად დაისახეთ უაღრესად სერიოზული ამოცანა – სრულიად ახალი ტიპის ქართული უმაღლესი სასწავლებლის შექმნა. სასწავლებლისა, რომელიც ორგანულად უნდა ჩაწერილიყო დემოკრატიულ პრინციპებზე და ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე დამკვიდრებულ სამოქალაქო საზოგადოებაში.

თქვენი კოლექტივის სახელით უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით შეძლო დასახული მიზნის განხორციელება. დღეს „ESM-თბილისი" არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. ამას ადასტურებს ინსტიტუტის შესახებ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი, ჩვენი ქვეყნის და უცხოელ ავტორიტეტულ ექსპერტთა დასკვნები და, რაც ყველაზე მთავარია, ის, რომ თქვენს მიერ მომზადებული სპეციალისტები წარმატებით მუშაობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც და, როგორც წესი, მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

მეამაყება, რომ „ESM-თბილისის" შექმნასა და ფეხზე დადგომაში მეც მიმიძღვის მცირედი წვლილი, რადგან, როგორც მახსოვს, ჩემი ფონდი იყო ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ვიცი, რომ თქვენ წინ კიდევ დიდი გეგმები გაქვთ. ნათქვამია: „კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო". დარწმუნებული ვარ, რომ კარგად დაწყებულ საქმეს კვლავაც წარმატებით გააგრძელებთ.

გთხოვთ, გადასცეთ თქვენს თანამშრომლებს ჩემი მილოცვა და საუკეთესო სურვილები თქვენს მომავალ საქმიანობაში.

საუკეთესო სურვილებით,
ედუარდ შევარდნაძე.

თარიღი

არის ასეთი უმაღლესი სასწავლებელი

„ESM-თბილისი" ათი წლისაა

აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: „თუ ზრუნავ უახლოეს მომავალზე დათესე მარცვალი; თუ იხედები 5 წლით წინ – დარგე ხე; თუკი გაწუხებს ფიქრი შენი ქვეყნის მომავალზე – იზრუნე ხალხის სწავლა-განათლებაზე. ის, ვინც ყურადღებით უყურებდა და უსმენდა „რუსთავი-2"-ის ეკრანზე არც თუ დიდი ხნის წინათ ნაჩვენებ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ფეხმოდგმულ კორუფციას შეეხებოდა, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტის მიერ გამოთქმულ მოულოდნელად განსხვავებულ აზრს: „იესემში" კორუფციის პრობლემა არ არსებობს, იქ სტუდენტები ბეჯითად შრომობენ, ცდილობენ წარმატებით დაამთავრონ ინსტიტუტი.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

სამ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 17312 მკითხველი. მათ შორის 54% აშშ-დან, 22% გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №93 (4152) პარასკევი, 19 აპრილი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

„ხერგილები" დიდ კორუფციაში

რას ელოდებიან, ვის ელოდებიან?..

ჩვენი საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სრულყოფა, ბიუჯეტის შევსების ოპტიმალური გზების ძიება, კორუფციული გარემოს თანდათან შეზღუდვა, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის გააქტიურებით, განხორციელებული ღონისძიებებისა და შედეგების სისტემატური განხილვით, ნაკლოვანებების გამოვლენითა და აღმოფხვრით. სწორედ ამიტომ საქართველოს გენერალური პროკურატურა ყოველწლიურად თავის კოლეგიაზე იხილავს საქართველოს კონტროლის პალატიდან მოკვლევისა და საგამოძიებო სამსახურებში გადაგზავნილ მასალებზე საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის მდგომარეობას.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაჯანსაღდა კონტროლის პალატისა და გენერალური პროკურატურის ურთიერთობა. დამკვიდრდა პრობლემური საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის პრაქტიკა, შემუშავდა უწყებათაშორისო აუცილებელი ნორმატიული აქტები, დამტკიცდა სამართალდამცავი ორგანოებისათვის მასალების გადაგზავნისა და მათზე რეაგირების წესები, რასაც მოჰყვა კიდეც სასურველი შედეგები. კერძოდ, 1999 წელს კონტროლის პალატიდან სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების მაჩვენებელი უდრიდა 32 პროცენტს, 2000 წელს – 45, ხოლო 2001 წელს – 54 პროცენტს. ხარისხობრივ მაჩვენებელს მიემატა ფინანსური მაჩვენებელიც. ბოლო ორი წლის მანძილზე ბიუჯეტს დაუბრუნდა 3.042.629 ლარი.

იხ. მე-2 გვ.

სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმმა" 11,9 მილიონი ლარის ღირებულების 700.000 ტონა მანგანუმის მადნის ნარჩენი გადასცა შპს „ნოკინტერნს", რომლის სანაცვლოდ მისგან მიიღო 492.500 ლარის ღირებულების ორი ცალი „ბელაზის" მარკის ავტოთვითმცლელი. ამ კომერციული გარიგების შედეგად, „ჭიათურმანგანუმმა" 11.425.544 ლარი იზარალა.

პრეზიდენტი

„დიდი აბრეშუმის გზა": ყოველდღიურად იზრდება ინტერესი

„დიდი აბრეშუმის გზის" პერსპექტივა და მისი განვითარების მიმართულებანი იყო 18 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციის გენერალური მდივნის ჯეკ შორტის შეხვედრის მთავარი თემა.

კონფერენციის გენერალური მდივანი საქართველოს პრეზიდენტს ესაუბრა თბილისში მიმდინარე სემინარის შესახებ, რომელზეც ტრასეკასა და „დიდი აბრეშუმის გზის" განვითარების პერსპექტივაზე მსჯელობენ როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტრანსპორტის ყველა დარგის ხელმძღვანელები, ასევე მსოფლიოს მაღალი რანგის ოფიციალური პირები. სტუმარმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციის წევრი გახდა.

იხ. მე-2 გვ.

დღის თემა

პრეზიდენტმა ქამარი მოიხსნა...

აღიარებულია, რომ პრეზიდენტის სიკეთე იმ სიმკაცრეშია, რომლითაც იგი საქვეყნო, ანუ კეთილ საქმეთა აღსრულებას ხელმძღვანელობს, თუნდაც ამისთვის მავანთა ეშაფოტზე გაგზავნაც დასჭირდეს.

ამდენად, ჩვენი ხატია არა ზოგადად კეთილი პრეზიდენტი, არამედ მკაცრი ხელმძღვანელი, რომელსაც ამ არეულ-დარეულ ქვეყანაში გუთანივით გააქვს სერელი.

ეს სულაც არ არის ოდინდელი რკინის ხელის ნოსტალგია, როცა კომუნისტი დიქტატორი თავის დაკრულზე აცეკვებდა მთელ ქვეყანას.

უბრალოდ, გვინდა კანონმა იკანონოს, სათქმელი და გადაწყვეტილება აღსრულდეს.

ჩვენს პრეზიდენტს ხშირად უსაყვედურებენ „თავების დაურევნებას" ერიდებიო.

ჩვენ გვახსოვს „რკინის შევარდნაძე".

ისიც ნაღდია, რომ სწორედ ამ „რკინოსნობის" გამო მოესალმა ქაოსაღქცეულ სამშობლოში მის დაბრუნებას ხალხი.

მცირე გადახვევა. თვით ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანიც, რომელიც მას შემდეგ, რაც მოსკოვს გადაიხვეწა, თავისი აბდაუბდა მისნობით გვაოცებს (თუმცა არც აქ ყოფილა დიდი ვარდუა მკითხავი), ვერ მალავს, რომ შევარდნაძე ხალხმა ჩამოიყვანა („მოიყვანა იმ 400 ათასმა კაცმა, მაგარი ინტელიგენცია რომ არის" – „ალია", 2002 წ. 13-15 აპრ.). ღმერთმა იცის ეს „400 ათასი მაგარი ინტელიგენტი" რა წყაროებით აქვს დაანგარიშებული, მაგრამ ასეც რომ იყოს, 400 ათასი კაცი თავისი ოჯახის წევრებიანად, ლამის ერის ნახევარია. ჰოდა, ეს ერის ნახევარი სწორედ დემოკრატად დაბრუნებული შევარდნაძის სიმკაცრის იმედად იყო, რათა ისეთთათვის მოევლო და აელაგმა, როგორიც თუნდაც ბატონი თენგიზ კიტოვანია.

ბევრიც გააკეთა და ბევრიც ალაგმა, ოღონდ ეს ძირითადად – საოცარი მოქნილობის, საჭირო მომენტის შერჩევის, ლოდინის, მოთმინების, დემოკრატიული და დიპლომატიური თვისებების წყალობით...

დღეს სამოქალაქო ომი აღარ არის, აღარ არიან ათასი ჯურის შეიარაღებული ფორმირებები. დღეს სხვა მტერი ჰყავს ქვეყანას და საზოგადოებას: კორუფცია, ეკონომიკური სიდუხჭირე. და ეს მტერი არანაკლებ საშიში დამაქცეველია.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

სამ გოგონას მეოთხეც მიემატა

– ამ დღეებში ჩემს ოჯახს ახალშობილი შეემატა. სამი გოგონა უკვე გვყავს, ვნატრობდით ბიჭს, მაგრამ უფლის ნებას წინ ვინ დაუდგება, მეოთხეც გოგონა გაჩნდა: – გულიკოს, ნესტანს, ოლიკოს პატარა ნათიაც მიემატა. იმ სამ გოგონას ქართული კაბები შევუკერე, სარკის წინ კოპწიაობენ; მეოთხეც წამოიზრდება და არც მას დავაკლებ ასეთ საჩუქარს. მინდა ოთხივენი ქართველი მანდილოსნის ყველა კარგი თვისების მქონე გავზარდოთ. ქართულ კაბას და თავსამკაულს მე გავუმზადებ.

თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ, მას „მაცნეს" ჯიხურში მუდამდღე მახვედრებს გამყიდველი.

გული მეწურება, როცა შევიტყობ, ზოგ-ზოგი ახალგაზრდა საზღვარგარეთ რომ გაიკრიფა. ქართული მიწის სიყვარული ახალგაზრდებს ბალღობის წლებიდან უნდა გაუჯდეთ. მე და ჩემი დაძმანი ასე გავიზარდეთ. მსურს, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმაც ასეთ კვალზე იარონ.

ელისაბედ გიორხელიძე,
თბილისი,
ვაზისუბნის დასახლება.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

კონტაქტები

გუშინ თბილისში ტურისტული გამოფენა-ბაზრობა გაიხსნა

Caucasus Tourism Fair
CTF
2002

საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიას" ტერიტორიაზე გუშინ დიდი ხალხმრავლობა იყო. მეთერთმეტე პავილიონში გაიხსნა „აბრეშუმის გზის" ქვეყნების საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა.

ბაზრობაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გაჭრა ლენტი. გამოფენა-ბაზრობის სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ თითოეულ საგამოფენო სტენდს.

პავილიონში წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხე, ულამაზესი კურორტები, ხალხური რეწვის ნიმუშები, სამრეწველო სიახლეები.

ამ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე მსოფლიოს 60-მდე სხვადასხვა ფირმა მონაწილეობს, ცალკეა წარმოდგენილი მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია WTO. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის წევრი ქვეყანა საქართველოც გახლავთ, მაგრამ, ამ ორგანიზაციის საევალდებულო საწევროს რაოდენობამ ექვსი წლის განმავლობაში უკვე 136 ათას დოლარს მიაღწია...

იხ. მე-2 გვ.

გვწერენ

შევარდნაძე — კოდორში, ბოჭორიშვილი — გოდორში

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. სამწუხაროდ, იგი ყველაზე მტკივნეული და ყველაზე მოუგვარებელია, რისი ნათელი დასტური 12 აპრილს კოდორის ხეობაში რუსეთის საჯარისო კონტინგენტის დაუპატიჟებელი შემოსვლა იყო. მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ ამ ინციდენტს სათანადო შეფასება მისცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დარჩა პასუხგაუცემელი შეკითხვა – **რას ნიშნავს ეს ყოველივე?..**

რას უნდა ნიშნავდეს კოდორის ხეობაში რუსეთის მიერ საჯარო კონტინგენტის ან ასე უაზრო შემოყვანა, ან მისი ასე უაზრო გაყვანა? ეს ხომ ისეთი სისულელეა, რომ ძნელი წარმოსადგენია ამ აქციის ავტორებს ეს სისულელე მართლა სისულელით მოსვლოდათ. უფრო სავარაუდოა, რომ სისულელეზე მეტად, საქმე 9 აპრილის სინდრომთან, 9 აპრილის მსგავს ვერაგობასთან გვქონდეს. **როგორც ჩანს, რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებაში ზოგიერთ ძალას საქართველოსთან კეთილმეზობლურ და სტრატეგიულ პარტნიორობას დაპირისპირება და სიძულვილით ნასაზრდოები ურთიერთობა ურჩევნია, პირველ რიგში, რუსეთის ინტერესების საზიანოდ და საწინააღმდეგოდ.** ამ მოვლენის სხვაგვარ ახსნას, სამწუხაროდ, ვერ ვპოულობ.

იხ. მე-2 გვ.

დუბლი სამი

იქნებ მიმიღონ და მომისმინონ...

მესამედ გწერთ, პატივცემულო რედაქცია.

უწინარესად, მინდა მადლობა გითხრათ ჩემი ორი წერილის გამოქვეყნებისათვის – „აქლემის ქურდი და კამეჩის ქურდი ორივე ქურდია" და „კამეჩებს კი არა სამართალს ვეძებ".

ერთი წელი გავიდა, რაც სამართალს ვეძებ, ჯერჯერობით ვერაფერი გავარკვიე, მაგრამ რწმენა მაინც მაქვს შერჩენილი, რომ მართალი ადამიანი არ დაიჩაგრება, თუ ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელები ობიექტურად მოიქცევიან. ამ მიზნით თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ კობა ნარჩემაშვილს, მიმიღოს მოქალაქეთა მიღების დღეს, სიმართლის გასარკვევად. მჯერა, რომ იგი ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო დროს გადადგმული უკომპრომისო ნაბიჯები და მინისტრის შეუვალი პოზიცია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასევე მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს, ღმრთის ნება პირადად ვუამბო, თუ რა უსამართლობას სჩადიან სენაკის პოლიციაში და პროკურატურაში იქაური პროკურორის ხელმძღვანელობით. ამის მაგალითად გამოდგება გამომძიებლების გია ჯანაშიასა და ნინო კვარაცხელიას პროფესიისადმი უპატივცემლობა და კანონის აშკარა დარღვევა, დაზარალებულის უფლების შელახვა, გამომძიების ხელმძღვანელის მურად ბურსულაიას ზღვარსგადასული საქციელი.

იხ. მე-2 გვ.

ტელეეკრანი



«ჯანმრთელობა» იმედით სავსე გადაცემაა

ტელევიზიის I არხით, დღეს, 19 აპრილს 19.10 საათზე

სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის ყოველკვირეული გადაცემა „ჯანმრთელობა" შესამური დამაჯერებლობით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა. მისმა ავტორმა მანანა ნოდიამ მოახერხა თბილისსა და მთელ საქართველოში აღიარებული მედიკოსების შემოკრება, საღეისოდ აქტუალური თემების განსაზღვრა და სატელევიზიო-სამკურნალო ნახევარსაათიანი „კურსის" ეკრანზე დამკვიდრება.

პრაქტიკული ღირებულების გარდა, პროგრამა „ჯანმრთელობას" შემეცნებით-საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს. მანანა ნოდია თანმიმდევრულად აცნობს მაყურებელს იმ რეფორმებსა და სიახლეებს, რაც მედიცინის სფეროში მკვიდრდება.



დღევანდელი პროგრამაც, წინასწარ გამოცხადებული ანონსის მიხედვით, უაღრესად საინტერესოა. უყურეთ და თავად დარწმუნდებით.

„ნიანგის" ხუმრობა

ყვავების ცირილი

ყვავი უყრანტალებს ყვავსა,
თანაც, ცოტას მორცხვობსო,
— „ჩვენზე დიდხანს თურმე ქვეყნად,
შევარდენი ცოცხლობსო",
თუ ამდენი ვიყრანტალეთ,
ვაჰ თუ, ამოგვხოცოსო.
ჯ.



უკანასკნელ საათს



იტალიის ჩრდილოეთ დედაქალაქში – მილანში წუხელ, თბილისის დროით 21 საათზე შვეიცარიიდან გამოფრენილი მცირე ტურისტული თვითმფრინავი „პაიპერი" დაეჯახა ქალაქის ყველაზე მაღალი შენობის 25-ე სართულს. ოთხი ადამიანი დაიღუპა, ათობით – დაიჭრა. საფუძველსმოკლებულია ეჭვი, რომ ეს იყო ტერაქტი. წინასწარი მონაცემებით, თვითმფრინავს არ გაეხსნა შასი, ამიტომ იგი ქალაქის თავზე ტრიალებდა საწვავის დასახარჯად და ამით უსაფრთხო დაშვების უზრუნველსაყოფად.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს არაოფიციალურ სხდომაზე განაცხადა: იმდენად სერიოზული მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში, რომ აუცილებელია ყურადღებით განვიხილოთ იქ საერთაშორისო ძალების განთავსების საკითხი.

ინფორმაცია

თედო ჯაფარიძე ლონდონში ჩავა

უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე აპრილის ბოლოს ოფიციალური ვიზიტით დიდ ბრიტანეთს ეწვევა.

ვიზიტი ამ ქვეყანასთან საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და გააქტიურების საკითხებთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფო მინისტრთან განიხილეს

18 აპრილს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ თბილისის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, დედაქალაქის მაჟორიტარი დეპუტატები მიიღო. შეხვედრის მიზანი კი დედაქალაქისათვის ყველაზე პრობლემური საკითხების განხილვა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ საკითხების მოგვარების სტრატეგიის შემუშავება იყო. უფრო ვრცლად – ხვალინდელ ნომერში.

სამშვიდობო ძალების ფუნქციები უნდა შეიცვალოს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე აცხადებს, რომ აუცილებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია, „თუნდაც თავდაპირველად მეთაურების დონეზე".

არანორმალურია ისეთი სიტუაცია, როდესაც დსთ-ის სამშვიდობო ძალების სარდლობა ელოდება მხოლოდ ერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ბრძანებებს.

ეჩვენებათ თუ ასეა?

სოხუმში აცხადებენ, რომ წინასწარ მიიღეს ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების მხარდაჭერის პირობა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების განახლების შემთხვევაში.

„მოხალისეები მზად არიან დახმარებისათვის, როგორც ეს 1992-1993 წლებში ომის დროს იყო", – განუცხადა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის უღიარებელი რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ.

პოზიციების დასაახლოებლად

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, არმიის გენერალმა ალექსანდრე კოსოვანმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ „რუსულმა მხარემ გადაწყვიტა დაუახლოვდეს თბილისის პოზიციას საქართველოდან ბაზების გაყვანის ვადების თაობაზე და თანახმაა ეს ვადები 14-დან 10 წლამდე შეამციროს".

ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკისათვის

ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები, მისი პრიორიტეტები და პანევროპული გამოცდილება – ასეთია „სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოში სატრანსპორტო პოლიტიკის" საერთაშორისო სემინარის დისკუსიის მთავარი თემები, რომელმაც 18 აპრილს დაიწყო მუშაობა თბილისის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში".

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიო ბანკის, ევროპის ტრანსპორტის სამინისტროთა კონფერენციის, აგრეთვე, მთელი რიგი წამყვანი საერთაშორისო საფინანსო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში		
დაბლობში:	ღამით +10;	დღისით +20.
მთაში:	ღამით +5;	დღისით +16.
აღმოსავლეთ საქართველოში		
ბარში:	ღამით +9;	დღისით +16.
მთაში:	ღამით +4;	დღისით +14.

თბილისში

ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი.
ღამით: +9; დღისით: +16.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

19 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.2337 ლარი
აშშ დოლარი	1	2.2400 ლარი
ევრო	1	1.9828 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0719 ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– 1982 წლიდან ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, მქონდა სათანადო განკუთვნილი პენსია. ამასთანავე, ვსარგებლობდი შეღავათებით.

1941-1945 წლებში კეთილსინდისიერი შრომისათვის დამაჯილდოვეს მედლით, ამჟამად ვღებულობ პენსიას 35 ლარის ოდენობით.

გთხოვთ, მიპასუხოთ, უნდა გადავიხადო თუ არა მიწის ნაკვეთის გადასახადი?

გივი კიკაძე, ხაშური, სოფელი ყიფიანთუბანი.

– მიწის გადასახადისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და 70 წელს გადაცილებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.

თქვენ, როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი, სამწუხაროდ, მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდებით.

რაც შეეხება სხვა შეღავათებს, განგიმარტავთ, რომ ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ 50-პროცენტიანი შეღავათით კომუნალური მომსახურების (გარდა ელექტროენერგიისა) გადასახადისას, თუ ამ მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში 30 კვტ. საათით განესაზღვრებათ, ხოლო ოჯახში შეღავათის მქონე ორი, ან მეტი პირის არსებობისას, უფლება აქვთ უფასოდ მოიხმარონ 45 კვტ.საათის ღირებულების ელექტროენერგია.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ინტერპანორამა

გაეროს წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში ტერიე როედ-ლარსენმა უსაშინლესი უწოდა ნგრევის სცენებს, რასაც იგი ხედავდა ლტოლვილთა ბანაკში ჯენინში. ბანაკი მოკლული და დასახიჩრებული გვამებითაა მოფენილი.

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ისრაელი შეასრულებს პალესტინის ტერიტორიებიდან თავისი ჯარების გამოყვანის დათქმულ გრაფიკს. ჯორჯ ბუშმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი შეასრულებს პირობას და იბრძოლებს ტერორიზმის წინააღმდეგ. ისრაელმა უკვე გამოაცხადა ჯენინიდან და ნაბლუსიდან ჯარების გაყვანის თაობაზე, რაც კვირისთვის დასრულდება.

პენტაგონის ცნობით, ამერიკული ავიაგამანადგურებლის F-16 პილოტმა შეცდომით ჩამოაგდო ორი 250-კილოგრამიანი ბომბი, რომლებმაც 4 კანადელი ჯარისკაცი შეიწირა, 8 – დაიჭრა.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

დღის თემა

პრეზიდენტმა ქამარი მოიხსნა...

(პირველი გვერდიდან)

აქ ლოდინის, მოთმინებით ცდის დრო აღარ არის.

და შევარდნაძეც აღარ არის ის ჯიქი, ხიდან საათობით განაბული რომ უთვალთვალებს ანტილოპას თავზე დასაცხრომად. იგი უკვე მებრძოლ სპილოსავით შეიმართა, რათა ბუკივით დაიქუხოს და სულ წია-წია წაიღოს ყველაფერი...

ეს „კიპლინგისებური" გადახვევა მაპატიონ პრეზიდენტმაც და მკითხველმაც. უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ კარგა ხანია ვუცდიდით პრეზიდენტის მუშტის დაბრახუნებას, თორემ ძალიან მშვიდად გრძნობს თავს სამოხელეო კოჰორტა, მშვიდად და ლაღად (ქვეყნის მეთაურის განკარგულებებისა და ბრძანებულებების ლამის ნახევარი შეუსრულებელი რჩება!).

ოთხშაბათს, მთავრობის სხდომაზე, ედუარდ შევარდნაძემ დაიქუხა. რა თქმა უნდა, არა პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის განხილვისას, რაც და როგორც მან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას უთხრა, ან ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს და პრეზიდენტის თანაშემწეს ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიას გადაჰკრა, ყვირილზე და ქამრით აჭრელებაზე მეტიც იყო. საერთოდ, ასე გაცეცხლებული ედუარდ შევარდნაძე კარგა ხანია არ გვინახავს, და... ასე არ მოგვეწონებია.

— სახელმწიფო მინისტრს საკმაოდ დიდი უფლებები აქვს, მე მზადა ვარ ჩემი უფლებების დელეგირებაც მოვახდინო, მაგრამ თუ მინისტრები ასე გააგრძელებენ მუშაობას ისეთ ურთულეს საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის ჩვენი დამოკიდებულება სავალუტო ფონდთან, არაფრის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, მაშინ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ამ ქვეყნის საშველი არ არის! სავალუტო ფონდი გარკვეულ დათმობებზე წავიდა, აღდგა თანამშრომლობა, ამან ჩვენი ქვეყნისაკენ დონორების საკმაოდ სერიოზული შემობრუნება, საინვესტიციო კლიმატის ნაწილობრივ გაუმჯობესება გამოიწვია. და ამ დროს მე არ მესმის, — მიუბრუნდა პრეზიდენტი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას, — რატომ უნდა იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ ვერ შევძელით ენერგეტიკის სფეროში ჩვენი კონცეფციის ჩამოყალიბება. აბა რა მინისტრი ხარ, უკვე წელიწადნახევარი — ორი წელიწადია მუშაობ და მაინც ათასი შენიშვნა გვაქვს ამ კონცეფციასთან დაკავშირებით. დღეს მზად არა ვარ, რომ წამოვაყენო წინადადება და სამუშაოდან დაგითხოვო. დასათხოვი კი ხარ! ამხელა სამინისტრო, ამდენი სპეციალისტი, სპეციალური ინსტიტუტი, ამდენი დოქტორი, პროფესორი ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლებმაც შესანიშნავად იციან ენერგეტიკაც და ისიც, თუ რა სჭირდება დარგს, და ახლა ითხოვთ 10 დღეს, რათა წესრიგში მოიყვანოთ ის თქვენი ნაფიქრალ-ნააზრევი, მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი უკვე მზად, უკვე გაგზავნილიც უნდა იყოს? მოგვეშალა პასუხისმგებლობის ცენტრი, რომელიც ჩვენს მოქმედებებს მართავს? ხომ არ შეიძლება პატარა ბიჭივით წარამარა ლექციები გიკითხო, აი ეს აქედან აქამდე როგორმე გააკეთო!

მერე მინისტრებს ერთობლივად:

— სასკოლო ასაკი დიდი ხანია გავლილი აქვს ყველას და შესანიშნავად იცით, რას ნიშნავს სავალუტო ფონდის მიერ ზურგის შექცევა. დონორი ქვეყნები მიხვდნენ, რომ არ შეიძლება ასეთი სიმდიდრისა და სიღარიბის თანაარსებობა და დაგვეთანხმნენ, რომ ყველა პროგრამა, რომელიც რეალურად არის გაანგარიშებული და გათვლილი, შესრულდეს მათი დახმარებით. ამ დროს თქვენ ელემენტარულ საქმეს არ აკეთებთ. მინდა თქვენთან ურთიერთობა მქონდეს როგორც კოლეგებთან, როგორც თანამოაზრეებთან, ჩვენ ხომ ერთნაირად ვიზიარებთ პასუხისმგებლობას, მაგრამ რომ არაფერი გამოდის?

და კვლავ დავით მირცხულავას:

— მე ახლა ამაზე კი არ უნდა ველაპარაკობდე შენთან, არამედ შენ უნდა მთხოვდე დავნიშნო საგანგებო თათბირი, თუ როგორ გამოვიზამთროთ წლეულს, რას წარმოადგენს ჩვენი ჰიდროელექტროსადგურები, რამდენი იქნება წყალი წყალსაცავებში, რამდენი გაზის, რა ენერგომემცველების შემოტანა დაგვჭირდება და სხვა. ეს გეგმა უკვე უნდა იდოს. ნაცვლად ამისა, იმაზე გვიხდება საუბარი, რომ ელემენტარული გადაწყვეტილება, რომელიც სავალუტო ფონდში უნდა გადაიგზავნოს — კონცეფციის პროექტი შემუშავებული არ არის. ვერ გავიგე, რაზე მუშაობთ საერთოდ!

ბოლოს ფინანსთა სამინისტროს ჯერი დადგა:

— ხშირად ვამბობ, რომ ზურაბ ნოღაიდელმა სწრაფად აითვისა ეს ურთულესი უბანი, მაგრამ როგორ შეგიძლია შენ ახლა, ზურაბ, 5 დღით წახვიდე ვაშინგტონში თუ ნიუ-იორკში და ამდენი საკითხი გადაუწყვეტელი დატოვო?! ჯერ კიდევ მოსაფიქრებელი გვაქვს, გაგიშვათ თუ არ გაგიშვათ იქ. ერთიც, მეორეც, მესამეც **(მინისტრებზე ითქვა დაუკონკრეტებლად — ა. ა.)** მზადა ხართ რომელ კუთხეშიც გინდა იყოს, იმოგზაუროთ და იქ რაღაცეები გადაწყვიტოთ. მაგრამ, ჯერ აქ გადაწყვიტეთ, შინ მოაგვარეთ საქმე. იმ კონცეფციას იქ ვინ დაგიწერს, მსოფლიო ბანკში დაგიწერენ თუ სავალუტო ფონდში? მათ 15-გვერდიანი რეკომენდაციები დატოვეს. მე არც სპეციალისტი ვარ,არც ენერგეტიკოსი, მაგრამ დრო რომ მქონოდა, დავჯდებოდი და რაღაცას გავაკეთებდი. შენ **(ადრესატი ისევ დავით მირცხულავა! — ა. ა.)** უნდა აღიარო, რომ არ შეგიძლია ამის გაკეთება. პირდაპირ გეტყვი — მზად რომ ვიყო, დღეს შენ შემცვლელს რომ ვხედავდე, ახლავე გაგათავისუფლებდი სამუშაოდან.

ძალიან სერიოზულად მინდა ფინანსთა სამინისტრო გავაფრთხილო: რაც გასაკეთებელია, გააკეთეთ და ნურავის ნურაფერს ამადლით. თქვენ აკეთებთ იმის მინიმუმს და იმ მინიმუმსაც ვერ აკეთებთ, რაც გასაკეთებელია. 10 დღის ვადაში ყველა საკითხი გადაწყვეტილი იყოს! თუ მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან ჩვენი თანამშრომლობა შებრუნდება და ისინი ზურგს შეგვაქცევენ, გპირდებით, რომ ზოგიერთნი ამ თვეშივე წახვალთ შინ, არც გაშინებთ და არც გემუქრებით. სამუშაოდან წავა, ვინც არ უნდა იყოს! ჩვენი ქვეყანა ისეთი ღარიბი არ არის კადრებით, რომ შემცვლელი ვერ მოვძებნოთ.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტმა მინისტრები გვარიანად გაშოლტა.

სხვათა შორის, ერთ დროს პედაგოგიკაში ქამარი და როზგი აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად, უებარ საშუალებად იყო მიჩნეული (მარადიული კლასიკური წარმოსახვითი სურათი — მამა ქამარს იხსნის....).

პრეზიდენტმა ქამარი მოიხსნა...

ალეკო ასლანიშვილი.

კარიკატურა თემაში



პრეზიდენტი

„დიდი აბრეშუმის გზა": ყოველდღიურად იზრდება ინტერესი

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს იმ მზარდ ინტერესზე, რომელსაც მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაცია იჩენს „დიდი აბრეშუმის გზის" პროექტისადმი. განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ პროექტით დიდად არიან დაინტერესებული ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი. აღინიშნა, აგრეთვე, ჩინეთის, იაპონიის, ცენტრალური აზიის, ბალკანეთისა და დუნაისპირა ქვეყნებისათვის „დიდი აბრეშუმის გზის" მნიშვნელობა. შეხვედრაზე იმსჯელეს იმ დამაბრკოლებელ გარემოებებზეც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის განვითარებას. ამგვარ გარემოებად სტუმარმა, უწინარესად, საზღვრების პრობლემა დაასახელა. როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, ეს პრობლემა მოგვარდება და ამით ყველა სახელმწიფოა დაინტერესებული.

შეხვედრაზე დაიბადა იდეა იმის თაობაზე, რომ საქართველომ ტრანსპორტის სფეროშიც ისარგებლოს იმავე შეღავათებით, რომლითაც იგი სავაჭრო სფეროში სარგებლობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხარდაჭერით. შესაძლოა, ეს იდეა მალე საერთაშორისო სტრუქტურებში განხილვის საგანი გახდეს.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

ჯემალ ნარმანიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა ზუგდიდის სამმართველოს დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **ჯემალ ნარმანია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

დავით კვაჭანტირაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ავტოტრანსრეგულირება — გურიის" ექსპერტი **დავით კვაჭანტირაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

კონტაქტები

გუშინ თბილისში ტურისტული გამოფენა-ბაზრობა გაიხსნა

(პირველი გვერდიდან)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ამ თანხის დაფარვა ფინანსთა მინისტრს საკუთარი ფონდიდან სთხოვა, დავალება დღემდე არ არის შესრულებული. თუ ამ თანხის ნაწილი პირველ მაისამდე არ გადავიხადეთ, ჩვენი ქვეყანა, რომელიც ტურისტული პოტენციალით ასე მდიდარია, საერთოდ გაირიცხება საერთაშორისო მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციიდან.

საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე ფართოდ არის წარმოდგენილი იტალიის, რუმინეთის, ავსტრიის, ისრაელის, გერმანიის, ჩეხეთის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის სამრეწველო ნაწარმი.

გამოფენის დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ექნებათ პირადად გაესაუბრონ უცხოური ფირმების წარმომადგენლებს, გაეცნონ საქართველოში არსებულ ტურისტულ პოტენციალს, წინასწარ დაგეგმონ საზაფხულო დასვენება, ტურისტული ბაზრის ფორმირება და ინფრასტრუქტურის განვითარება.

საერთოდ, ამ გამოფენის ორგანიზატორია საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია". საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის აქტიური მხარდაჭერით, აქ ყველაფერი საერთაშორისო დონეზე მოეწყო. პროექტის მენეჯერია ნინო გამრეკელი.

გამოფენა-ბაზრობა, რომელიც სამ დღეს გასტანს, მრავალ პარტნიორსა და დაინტერესებულ პირს ელოდება.

ლალი ძინძლაძე.

გუშინ

ნინო ბურჯანაძე მართვის ევროპულ უმაღლეს სკოლას ეწვია

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 18 აპრილს მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის დაარსების ათ წლისთავთან დაკავშირებით ესტუმრა მას რექტორატის მიწვევით.

მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის — „ESM- თბილისი" რექტორმა სულიკო ქადაგიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს სწავლების პროცესი გააცნო. მან ნინო ბურჯანაძეს საკუთარი მოსაზრებანი წარუდგინა უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ და აღნიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმა უფრო მეტ დახვეწას მოითხოვს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, უმაღლესი სასწავლებლის რეფორმა განვითარებადი პროცესია და წარმატებული შედეგის მისაღწევად აუცილებელია ყველა ძირითადი სასწავლო დაწესებულების— როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის სასწავლებლების მესვეურთა წინადადებების გათვალისწინება.

შეხვედრის დასასრულს, ნინო ბურჯანაძემ დაათვალიერა სასწავლებლის კომპიუტერული, ლინგოფონური და ინტერნეტ-კლასები, გაესაუბრა სტუდენტებს.

საქინფორმი.

გვწერენ

შევარდნაძე — კოდორში, ბოჭორიშვილი — გოდორში

(პირველი გვერდიდან)

აქვე მინდა შევჩერდე ერთ არსებით მომენტზე. საქართველოს პარლამენტის ცალკეულ წევრთა პოზიცია, მაგალითად, ვახტანგ ბოჭორიშვილის, სამწუხაროდ, ამ სატყუარაზე წამოგების პოზიცია იყო.

თვისებრივად განსხვავებული იყო პრეზიდენტის პოზიცია და რეაქცია — მშვიდი და შორსმჭვრეტელური. როგორც ჩანს, ის მაშინვე მიხვდა ამ პოლიტიკური სპექტაკლის ჩანაფიქრს და მას ისეთი გადაწყვეტა მოუძებნა, როგორც მის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ბიოგრაფიას და გაქანებას შეეფერებოდა, რითაც **არა მარტო საქართველოს და რუსეთის, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებსაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ შევარდნაძე დღესაც ბრწყინვალე ფორმაშია.**

მთელ ამ აბსურდულ ისტორიაში ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ამ ბინძური ჩანაფიქრის ავტორებმა საწადელს ამჯერადაც მიაღწიეს — საქართველოს მოსახლეობაში ანტირუსული განწყობას არცთუ კეთილშობილურ საქმეში კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ.

მაგრამ ისტორიის, რელიგიისა და კულტურის ღრმა ფესვებით დაკავშირებული ორი ერის ერთმანეთთან საბოლოო დაპირისპირების ვერაგულ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია.

გრიგოლ ჭვანია,
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.

დუბლი სამი

იქნებ მიმიღონ და მომისმინონ...

(პირველი გვერდიდან)

ამ უკანასკნელის თქმით, საქმეები განახლებულია, სამი თვეა მას შემდეგ გასული და დაზარალებული ერთხელაც არ დაუკითხავთ, მათ დაზარალებულები არ სჭირდებათ, რადგან მათ ნაცვლად ჩვენებებს თვითონ წერენ და ხელსაც აწერენ. სწორედ ამიტომ ცდილობს მურად ბურსულაია თავი აგვარიდოს, არ ჩაგვახედოს გამოძიების მასალებში და ვართ ასე უუფლებოდ მიტოვებული პატიოსანი, მშრომელი ადამიანები.

სანამდის შეიძლება გაგრძელდეს ასე? ჩემი აზრით, მანამდის, ალბათ, სანამ ამ საქმეზე ბატონი კობა ნარჩემაშვილი და ბატონი ნუგზარ გაბრიჩიძე პირად კონტროლს არ დააწესებენ, ამიტომ ვთხოვ მათ, მიმიღონ და მომისმინონ.

რევაზ მიძავა.

P. S. ჩემი მისამართია: სენაკი, ქუთაისის ქუჩის I ჩიხი, №1.

„ხერგილები" დიდ კორუფციაში

რას ელოდებიან, ვის ელოდებიან?..

(პირველი გვერდიდან)

მიუხედავად ამისა, პროკურატურას მიღწეული არ აკმაყოფილებს და მკაცრად ებრძვის გზადაგზა წარმოშობილ ხერგილებს. უპირველესად ესაა გამოძიების ზერელედ წარმართვა, საქმეთა გაჭიანურება, მათი უკანონოდ შეწყვეტა და ა. შ. მსგავსი ფაქტები, როგორც იტყვიან, საკმაოზე მეტია...

„ხობის რაიონის ხიბულის ჩაის საზოგადოებრივი მეურნეობის მიერ „გაერთიანებული ქართული ბანკის" ხობის ფილიალიდან მოკლევადიანი სესხის დაფარვის შემოწმების მასალები" კონტროლის პალატიდან სამეგრელოს საოლქო პროკურატურაში შევიდა 2000 წლის 2 თებერვალს. რევიზიით დადგინდა სახელმწიფოსათვის 21580 დოლარის ზარალის მიყენების ფაქტი, რის საფუძველზეც 2000 წლის 8 თებერვალს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პასუხისგებაში მისცეს ხობის რაიონის მართვის სამმართველოს უფროსი ი. ქანდარია და ხობის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის საერთო განყოფილების გამგე რ. ქვანია. 2000 წლის 30 ივნისის საქმე სასამართლოში წარიმართა.

2001 წლის 26 ივლისს ხობის რაიონის სასამართლომ, პროკურორ მ. ფიფიას შუამდგომლობის საფუძველზე, საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა, ვინაიდან სასამართლო გამოძიებისას გამოიკვეთა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ხობის რაიონის ადგილობრივი სამსახურის სხვა თანამშრომელთა ბრალეულობაც. 2001 წლის 27 დეკემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა მ. ჯაბუამ საქმის წარმოება უკანონოდ შეაჩერა. საქმის წარმოების შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად გამომძიებამ აი, რა მიუთითა: „საჭიროა დამატებით დაიკითხონ ბრალდებულები ი. ქანდარია და რ. ქვანია და საბოლოოდ დადგინდეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემ პირთა წრე, რომლებიც არ გამოცხადდნენ პროკურატურაში".

ი. ქანდარია და რ. ქვანია გამომძიებამ არაერთხელ დაჰკითხა და მათი დამატებითი დაკითხვის დამაბრკოლებელი გარემოებები საქმეში არ აისახა. გარდა ამისა, გაუგებარია თუ ვის გულისხმობდა გამოძიება იმ პირებში, რომლებიც არ გამოცხადდნენ პროკურატურაში. ან რა ღონისძიებები განახორციელეს პროკურატურაში ასეთი პირების მისაყვანად?

მიუხედავად ამდენი ხნისა, საქმე დღემდე ვერ დამთავრდა, იგი ისევ წინასწარი გამოძიების სტადიაშია...

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის 2001 წლის 24 ივლისის წერილის საფუძველზე, კონტროლის პალატის სპეციალისტებმა შეამოწმეს შპს „ნოკინტერნის" საქართველოს ფილიალსა და სს „ჭიათურმანგანუმს" შორის 1999 წლის 21 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების კანონიერება.

შემოწმების დამთავრების შემდეგ 2001 წლის 10 აგვისტოს შედგა შუალედური აქტი, რომლის თანახმად „ნოკინტერნისა" და „ჭიათურმანგანუმს" შორის ხელშეკრულება გაფორმებულია ამ უკანასკნელის ინტერესების სრული იგნორირებით. კერძოდ, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმმა" 11,9 მილიონი ლარის ღირებულების 700.000 ტონა მანგანუმის მადნის ნარჩენი გადასცა შპს „ნოკინტერნს", რომლის სანაცვლოდ მისგან მიიღო 492.500 ლარის ღირებულების ორი ცალი „ბელაზის" მარკის ავტოთვითმცლელი. ამ კომერციული გარიგების შედეგად, „ჭიათურმანგანუმმა" 11.425.544 ლარი იზარალა.

შუალედური აქტი, თანდართულ მასალებთან ერთად, 2001 წლის 24 აგვისტოს მივიდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უშიშროების სამსახურში, სადაც შესაბამისი შემოწმების შემდეგ, 2001 წლის 24 აგვისტოს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „ჭიათურმანგანუმში" დიდი ოდენობით სხვისი ქონების გაფლანგვის ფაქტზე.

2001 წლის 27 აგვისტოს, ეს საქმე გამოსაძიებლად დაექვემდებარა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და გადაეცა გამომძიებელ მ. ბაკაშვილს. 2002 წლის 24 იანვარს საქმე წარმოებით შეწყდა. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლა ამ გადაწყვეტილების კანონიერება. დადგენილება, როგორც ნაადრევი და დაუსაბუთებელი, 2002 წლის 7 თებერვალს გაუქმდა გა გამოძიება განახლდა...

კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოში 2000 წლის 17 თებერვლიდან ჰაერშია გამოკიდებული სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საკრებულოს რევიზიის მასალები. საინტერესოა, რას ელოდებიან, ან ვის ელოდებიან...

საქართველოს გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის თითქმის ერთობლივი განცხადებით, უმკაცრესად დაისჯება ყველა ის, ვინც კი კორუფციული საქმეების გამოვლენასა თუ გამოძიებაში ხერგილებს ქმნის და საერთო ბრძოლის ტემპს ამუხრუჭებს.

ბონდო გულიაშვილი.

თარიღი

არის ასეთი უმაღლესი სასწავლებელი

„ESM-თბილისი" ათი წლისაა

(პირველი გვერდიდან)

ცხადია ბევრმა, ვინც ამ გადაცემას უყურა, ან ამ სტატიას წაიკითხავს, ალბათ, არც იცის რა არის „იესემი". ეს არის მენეჯმენტის უმაღლესი სასწავლებელი „ESM-თბილისი". იგი 1992 წელს დაარსდა და წლეულს 10 წელი შეუსრულდა.

უმაღლესი სასწავლებლისათვის თითქოს ათი წელი განსაკუთრებულს არ უნდა ნიშნავდეს; ევროპაში არსებობენ სასწავლებლები, რომლებიც საუკუნეებს ითვლიან. მაგრამ გავიხსენოთ ისიც, რომ დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო დაახლოებით ამავე ასაკისაა; ეს დრო კი — ათი წელი ქარტეხილებს, მსხვრევას, ნგრევას და ახლის მშენებლობის მცდელობას იტევს...

„ESM-თბილისი" მენეჯმენტის ევროპული უმაღლესი სასწავლებელი ახალი საქართველოს პირმშოა, მასთან ერთად დაბადებული, ქარ-ცეცხლ გამოვლილი, დღეს ფეხზე მყარად მდგარი და წელგამართული. სწორედ ამიტომ, უპრიანიცაა მისი ათი წლისთავის აღნიშვნა, მის მიერ განვლილი გზის გაანალიზება და მიღწეული შედეგების შეფასება. მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს შევეხები. არ შემიძლია არ აღვნიშნო იმ ადამიანების დამსახურება, ვინც 1992 წელს ამ საშვილიშვილო საქმეს ედგა სათავეში და ვისაც დღეს „ESM-თბილისის" მამა-დამაარსებლები შეიძლება ეწოდოთ. ესენი არიან: სოლიკო ქადაგიძე, ამირან ბაბუნაშვილი, რევაზ ვაჩნაძე, ნიკოლოზ მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი და სხვები. თამამად შეგვიძლია გამოვთქვათ გულწრფელი აღტაცება, მადლიერება ამ ადამიანების ენთუზიაზმის, გონიერებისა და უანგარობის გამო. სწორედ მათ მიერ რუდუნებით შერჩეული და ჩამოყალიბებული პრინციპები დაედო საფუძვლად ჩვენი სასწავლებლის არსებობას. ამ პრინციპებმა კი დროის გამოცდას გაუძლეს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თანადგომა, რომელიც იმ ხანად, სულ რამდენიმე კვირის დაბრუნებული საქართველოში ახალ საქმეს უყოყმანოდ ამოუდგა გვერდით, მხარი დაუჭირა ენთუზიასტთა ზემოხსენებულ ჯგუფს. სწორედ მისი სახელობის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება" — გახდა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხოლო თავად ბატონი ედუარდი, რომელსაც არასდროს ღალატობს სიახლის გრძნობა და პერსპექტივის დანახვის გასაოცარი ალღო, ყოველთვის იჩენდა და ახლაც იჩენს დიდ ინტერესს ინსტიტუტის საქმიანობისადმი. კოლექტივის სახელით, ულრმესი მადლობა მას ამისათვის.

დახმარება და თანადგომა აღმოუჩინეს ინსტიტუტს მისი ჩამოყალიბების და ზრდის სხვადასხვა ეტაპზე სოლიკო ხაბეიშვილმა, რესან კონცელიძემ, ნუგზარ ელენტმა, ნუგზარ ფოფხაძემ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების და „ESM-თბილისი" თანამშრომლის დამსახურებაა, დღეს რომ დაარსებიდან ათი წლის თავზე საკუთარი ტრადიციებისა და ხელწერის მქონე ახალი ტიპის ქართული უმაღლესი სასწავლებელია, განვითარებული საერთაშორისო კავშირებით, მაღალი ავტორიტეტითა და ფართო აღიარებით; რამდენიმე წლის წინათ უცხოელ სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემას სწავლობდა, თავის ოფიციალურ დასკვნაში ევროპული სტანდარტების შესატყვისად ერთ-ერთი „ESM-თბილისი" მიიჩნია. საქართველოს სოროსის ფონდის დაკვეთით დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, რომელმაც ასევე შეისწავლა ჩვენი ქვეყნის წამყვანი არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით პირველობა „ESM-თბილისს" მიანიჭა. იგივე შეხედულებას გამოხატავს თბილისში წლების განმავლობაში თანდათანობით შექმნილი, დღეისათვის მყარად დამკვიდრებული პოზიტიური საზოგადოებრივი აზრიც. საქართველოს ფირმები და ორგანიზაციები სიამოვნებით იყვანენ სტაჟიორის რანგში ინსტიტუტის III-IV კურსელებს, ხოლო სასწავლებლის დამთავრების შედეგად მათ იქვე სთავაზობენ მუშაობის გაგრძელებას. შევისწავლეთ და დავადგინეთ, რომ ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა 80-85 პროცენტზე მეტი სპეციალობით მუშაობს.

ბუნებრივად იკითხავთ, რამ განაპირობა „ESM-თბილისის" ეს მიღწევები? რა არის მთავარი, რაც სასწავლებელს პრობლემათა გადალახვის საშუალებას აძლევს.

რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტორი ბევრია; მათი ზემოქმედება სასწავლო-პროცესის ხარისხზე კომპლექსური და სისტემურია, რთულია მათგან ნაწილის გამოყოფა, მაგრამ მთავარია სამი რამ: სტუდენტის ცოდნის შემოწმებისას მაღალი და მკაცრი მომთხოვნელობა; გამოკითხვები (გამოცდების, ჩათვლების, საკონტროლო შემოწმების) ყოველ საგანში თვეში ერთხელ მაინც ჩატარება, და სტუდენტის ცოდნის დონის შეფასებისას აბსოლუტური ობიექტურობა. ამ უკანასკნელში გამორიცხულია ნაცნობ-მეგობრობა, ნათელ-მირონობა, პირადი სიმპათიები და ა. შ. ასეთი კატეგორიულობა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არ ეწერება ქართულ მენტალიტეტში, მას ქართული საზოგადოება ძნელად ეგუება. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ეს ვიცით არა თეორიულად, არამედ რეალურად. გამოგვეცდია, რაც ხდება სტუდენტის მშობელში, რომელსაც შვილის მოყვანა ჩვენს სასწავლებელში უნდა, მოსწონს რა ჩვენი ის მომთხოვნელობა, რაც ჩვენთან არის. ღმერთმა ნუ ქნას, მისმა შვილმა ვერ ჩააბაროს ვერც ძირითადი და ვერც დამატებითი გამოცდა; ასეთ შემთხვევაში, ჩვენი წესების თანახმად, სტუდენტი ინსტიტუტიდან გაირიცხება, და აი აქ იწყება მშობლის განცდები, ის მოითხოვს, რომ სწორედ მისი შვილის მიმართ იქნას დაშვებული გამონაკლისი. თხოვნიდან შემდეგ მოთხოვნაზე გადადის, მოთხოვნიდან მუქარაზე და არცთუ იშვიათად, ლანძღვაზეც; სამწუხაროდ, ასეთი ქცევა ტიპიურია. სათქმელად ადვილია, მაგრამ ამ სინამდვილის მშვიდად ატანა ძნელია. სჭირდება გაძლება, ნებისყოფის სიმტკიცე და საკუთარი პრინციპების სისწორის შინაგანი ღრმა რწმენა. სწავლება და აღზრდა, განუყოფელი პროცესია. ნებისმიერი სასწავლებელი ვალდებულია სტუდენტის პროფესიულ განათლებასთან ერთად მის აღზრდაზეც იზრუნოს. მაგრამ ისიც ცხადია, იქ, სადაც თუნდაც მცირე ზნეობრივი კომპრომისია დაშვებული, იქ სადაც არის პროტექციონიზმი, საქმის „ჩაწყობა", რომ არაფერი ვთქვათ კორუფციაზე, შეუძლებელია მაღალი ზნეობის სპეციალისტის მომზადება. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველს უთქვამს: „გარეშე ცხოვრებისა და ბრძნულისა ვერ შესაძლებელ არს ყოფნა ბრძენად". უფრო ზუსტად და უკეთ თქმა ძნელია.

„ESM-თბილისი" თავის სტუდენტებს ინსტიტუტში ჩარიცხვის პირველ დღიდანვე აცნობს რა სწავლისა და ქცევის მაღალი სტანდარტების გარემოში გათვალისწინებულ უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში მკაცრად რეგლამენტირებულ და გაფორმებული ხელშეკრულებით, მათში აყალიბებს საკუთარ აწმყოზე და მომავალზე პასუხისმგებლობის გრძნობას. ამით თანდათანობით ხდება სამოქალაქო საზოგადოების მომავალი წევრის ზნეობრივი ფორმირება და ეს ხდება არა ლიტონი მოწოდებებით, არამედ ინტერაქტიურ რეჟიმში. „ESM-თბილისი", როგორც ყველა არასახელმწიფო სასწავლებელი ფასიანი ინსტიტუტია. სწავლა საკმაოდ ძვირი ღირს და ამას ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი ჩვენს მთავარ ნაკლადაც მიიჩნევს.

ამქვეყნად უფასო არაფერი არ არის. იმათ, ვინც საბჭოური პერიოდის „უფასო" განათლებას, სამედიცინო მომსახურებას და სხვა სიკეთეებს მისტირიან, ბევრჯერ შეახსენეს, რომ ეს სიკეთეები უფასო არასოდეს ყოფილა. მათ საფასურს უბრალოდ ყველა ჩვენგანი იხდიდა, ხოლო ამ „უფასო" სიკეთეების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. დასაძრახი ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ სიკეთეს ფასი აქვს. დასაძრახია არაადეკვატურობა გადასახდელ ფასსა და სანაცვლოდ მიღებულ სიკეთეს შორის.

სწორედ სწავლებიდან მიღებული შემოსავლებით შესძლო „ESM-თბილისის" ადმინისტრაციამ ლექტორებისათვის ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ყველაზე მაღალი ანაზღაურება დაეწესებინა და ამით უაღრესად მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგ-მასწავლებლები მიეზიდა, რაც საბოლოო ანგარიშით სწავლების ხარისხის ზრდის უპირველესი პირობაა, შესძლო შეექმნა ერთ-ერთი საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, კომპიუტერული კლასებით, ინტერნეტ აუდიტორიით, ლინგოფონური კაბინეტით; დაეკომპლექტებინა თანამედროვე ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ქართულენოვანი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით ინსტიტუტის ბიბლიოთეკა; გამოეცა ჩვენივე მასწავლებლების მიერ ქართულ ენაზე შექმნილი 20-მდე დასახელების სახელმძღვანელო.

ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს „ESM-თბილისში" დამკვიდრებული სწავლების ტექნოლოგიის ყველა ნიუანსს, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს ვაცნობებ, რომ ჩვენთან ყოველ წელიწადს აპრილის, მაისის და ივნისის ბოლო შაბათს 11 საათზე ღია კარის დღე ტარდება, სადაც აბიტურიენტებს და მათ მშობლებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ ინსტიტუტი, შეხვდნენ ინსტიტუტის რექტორს და მასწავლებლობას, მიიღონ ამომწურავი პასუხი მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე. მკითხველს არც ისეთ შთაბეჭდილებას ვუქმნით, რომ „ESM-თბილისის" ხელმძღვანელობას ინსტიტუტის საქმიანობა უნაკლოდ მიაჩნია. არის შეცდომები, შეიმჩნევა ხარვეზები, ნაკლოვანებები, რომლის გამოსწორებაზეც ვზრუნავთ.

ჩვენი ინსტიტუტის დაარსებიდან 10 წლის თავზე შეიძლება ითქვას, „ESM-თბილისმა" თვალსაჩინო ილუსტრირება მოახდინა იმისა, რომ „ESM-თბილისმა" საზოგადოებას დაანახვა, რომ ნაცვლად ხანგრძლივი და უნაყოფო ლაპარაკისა უმაღლესი განათლების რეფორმის, სასწავლო დაწესებულებებში კორუფციისა და სხვა მანკიერების დაძლევის შესახებ, ჩვენს დღევანდელ მძიმე პირობებშიც კი სავსებით შესაძლებელია ამ სიმახინჯეებისაგან თავისუფალი, უმაღლესი სასწავლებლის შექმნა და მისი არსებობა.

სამწუხაროა, რომ მათ, ვისაც ყველაზე მეტად ეხებათ ინსტიტუტის დადებითი გამოცდილების შესწავლა-განზოგადოება, მისი გავრცელება, ამისათვის არ სცალიათ, ისინი განათლების რეფორმის შესახებ კვლავ დისკუსიით არიან დაკავებულნი.

„ESM-თბილისის" კოლექტივი მიღწეულით კმაყოფილდება, ახალ ამოცანებს ისახავს და მომავლის განჭვრეტით დიდი ოპტიმიზმით ხვდება თავის არსებობის მეორე ათწლეულს.

ოთარ კუპატაძე,
„ESM-თბილისის" პრორექტორი.
ჯავარ ლომაძის ფოტოები.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 93, პარასკევი, 19 აპრილი, 2002 წელი.

არჩევნები

№2 ვაკის საარჩევნო ოლქის უბნები და საზღვრები

№1 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №5

ტელეფონი: 224428, 231494

საზღვრები: ჭავჭავაძის გამზირის წყვილი ნომრები კეკელიძის ქუჩიდან მემედ აბაშიძის (ყოფ. ნაფარეულის) ქუჩამდე. მემედ აბაშიძის ქუჩის წყვილი ნომრები ბარნოვის ქუჩამდე. ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები კეკელიძის ქუჩამდე (ხიდამდე). კეკელიძის ქუჩის კენტი ნომრები ი. ჭავჭავაძის პროსპექტიდან ბოლომდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№2 საარჩევნო უბანი

ცენტრი: შპს “საბინაო კომუნალური გაერთიანება” ვაკის ფილიალი

მისამართი: თაყაიშვილის ქ. №4ა

ტელეფონი: 220084, 225201

საზღვრები: მემედ აბაშიძის (ყოფ. ნაფარეულის) ქუჩის კენტი ნომრები ბარნოვის ქუჩიდან ი. ჭავჭავაძის გამზირამდე. ი. ჭავჭავაძის გამზირის წყვილი ნომრები მემედ აბაშიძის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე, ერისთავის ქუჩის წყვილი ნომრები ბარნოვის ქუჩამდე. ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები მემედ აბაშიძის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№3 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №39

ტელეფონი: 294709

საზღვრები: ერისთავის ქუჩის კენტი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირიდან ბარნოვის ქუჩამდე, ბარნოვის ქუჩის ლუწი ნომრები №80-ის ჩათვლით. ჯანაშვილის ქუჩის ორივე მხარე ქობულეთის ქუჩამდე. ქობულეთის ქუჩის კენტი ნომრები ქობულეთის პირველ შესახვევამდე, ქობულეთის პირველი შესახვევის კენტი ნომრები ბურკიაშვილის ქუჩამდე. ბურკიაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები მცხეთის ქუჩამდე, მცხეთის ქუჩის ლუწი ნომრები მრგვალ ბაღამდე. ირ. აბაშიძის ქუჩის კენტი ნომრები მრგვალი ბაღიდან ბაზალეთის ქუჩამდე. ბაზალეთის ქუჩის ლუწი ნომრები ირ. აბაშიძის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირამდე. ჭავჭავაძის გამზირის ლუწი ნომრები ბაზალეთის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№4 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი №36

ტელეფონი: 220301

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის გამზირის წყვილი ნომრები №34-დან ბაზალეთის ქუჩამდე. ბაზალეთის ქუჩის კენტი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირიდან ირ. აბაშიძის ქუჩამდე, ირ. აბაშიძის ქუჩის წყვილი ნომრები მრგვალ ბაღამდე. მცხეთის ქუჩის კენტი ნომრები №1-დან №37-ის ჩათვლით, რადიანის ქუჩის წყვილი ნომრები მცხეთის ქუჩიდან ი. ჭავჭავაძის გამზირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№5 საარჩევნო უბანი

ცენტრი: გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კოლეჯი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი №25,

ტელეფონი: 223033

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის პროსპექტის კენტი ნომრები №1-დან №31-ის ჩათვლით და მისი ქვედა დასახლება მდინარე ვერემდე. მდინარე ვერეს მარჯვენა მხარე ვარაზის ხევამდე. ვარაზის ხევი მდინარე ვერედან ჭავჭავაძის გამზირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№6 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №55-ე საშ. სკოლა

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი №38

ტელეფონი: 292471, 223585

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის გამზირის წყვილი ნომრები №36-დან №40-ის ჩათვლით. არაყიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირიდან არაყიშვილის II ჩიხამდე, არაყიშვილის II ჩიხის წყვილი ნომრები რადიანის ქუჩამდე, რადიანის კენტი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№7 საარჩევნო უბანი

ცენტრი: საბავშვო ბაღი

მისამართი: აბაშიძის ქ. №11

ტელეფონი: 292784

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის გამზირის წყვილი ნომრები თაქთაქიშვილის (ყოფ. რიგის) ქუჩიდან არაყიშვილის ქუჩამდე. არაყიშვილის ქუჩის კენტი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირიდან ირ. აბაშიძის ქუჩამდე. ირაკლი აბაშიძის ქუჩის კენტი ნომრები არაყიშვილის ქუჩიდან თაქთაქიშვილის ქუჩამდე. თაქთაქიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ირ. აბაშიძის ქუჩიდან ი. ჭავჭავაძის გამზირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№8 საარჩევნო უბანი

ცენტრი: 56-ე საშ. სკოლა

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №34

ტელეფონი: 235812

საზღვრები: ჯანაშვილის ქუჩის კენტი ნომრები ქობულეთის ქუჩიდან კეკელიძის ქუჩამდე. ქობულეთის ქუჩის წყვილი ნომრები ჯანაშვილის ქუჩიდან ქობულეთის I შესახვევამდე, ქობულეთის I შესახვევის წყვილი ნომრები ბურკიაშვილის ქუჩამდე, ბურკიაშვილის ქუჩის კენტი ნომრები მცხეთის ქუჩამდე, მცხეთის ქუჩის ლუწი ნომრები ბურკიაშვილის ქუჩიდან რადიანის ქუჩამდე, რადიანის ქუჩის ლუწი ნომრები არაყიშვილის II ჩიხამდე, არაყიშვილის II ჩიხის კენტი ნომრები არაყიშვილის ქუჩამდე, არაყიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები ბოლომდე, შატბერაშვილის ქუჩის ორივე მხარე კეკელიძის ქუჩიდან მთის ძირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№9 საარჩევნო უბანი

ცენტრი: 57-ე საშ. სკოლა

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №42

ტელეფონი: 228123, 235870

საზღვრები: ირ. აბაშიძის ქუჩის ლუწი ნომრები არაყიშვილის ქუჩიდან №50-ის ჩათვლით. რაზმაძის ქუჩის კენტი ნომრები №47-დან №57-ის ჩათვლით. რაზმაძის ქუჩიდან პერპენდიკულარულად ცხვედაძის ჩიხის №20-ის ჩათვლით მთის ძირამდე. არაყიშვილის ქუჩის კენტი ნომრები ტაბიძის ქუჩამდე. ტაბიძის შესახვევის ორივე მხარე მთის ძირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№10 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “საქჰიდროენერგომშენი”

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №50

ტელეფონი: 231340

საზღვრები: კავსაძის ქუჩის წყვილი ნომრები ი. ჭავჭავაძის გამზირიდან ირ. აბაშიძის ქუჩამდე. ირ. აბაშიძის ქუჩის კენტი ნომრები კავსაძის ქუჩიდან თაქთაქიშვილის ქუჩამდე. თაქთაქიშვილის ქუჩის კენტი ნომრები ირ. აბაშიძის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირამდე. ვაკის სტუდქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული კორპუსები №№ 1ა, 2ა, 3ა, 4ა, ი. ჭავჭავაძის გამზირზე განლაგებული კორპუსები №№ 2, 3, 4, 5, 37ა, 37ბ, №9 საავადმყოფოს ტერიტორია და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

უბანი

№11 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №54-ე საშ. სკოლა

მისამართი: ფალიაშვილის ქ.№59

ტელეფონი: 221156, 232922

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის პროსპექტის ლუწი ნომრები კავსაძის ქუჩიდან მიშველაძის ქუჩამდე, მიშველაძის ქუჩა ი. ჭავჭავაძის გამზირიდან ფალიაშვილის ქუჩამდე, ფალიაშვილის ქუჩის კენტი ნომრები მიშველაძის ქუჩიდან კავსაძის ქუჩამდე. კავსაძის ქუჩის კენტი ნომრები ფალიაშვილის ქუჩიდან ი. ჭავჭავაძის პროსპექტამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№12 საარჩევნო უბანი

ცენტრი: გეოლოგიური სამმართველო

მისამართი: მოსაშვილის ქ. №24

ტელეფონი: 224043, 252850

საზღვრები: ფალიაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები მიშველაძის ქუჩიდან კავსაძის ქუჩამდე, კავსაძის ქუჩის კენტი ნომრები ირ. აბაშიძის ქუჩამდე, ირ. აბაშიძის კენტი ნომრები კავსაძის ქუჩიდან მიშველაძის ქუჩამდე. ირ. აბაშიძის ქუჩის ლუწი ნომრები №52-დან №64-ის ჩათვლით, მიშველაძის ქუჩა და სახლი.

№13 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №75-ე ბაგა-ბაღი

მისამართი: დარიალის ქ. №14

ტელეფონი: 220232

საზღვრები: ირ. აბაშიძის ქუჩის წყვილი ნომრები №66-დან №86-ის ჩათვლით, ცხვედაძის ქუჩის ორივე მხარე მთის ძირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№14 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “საქწყალეკოლოგია”

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №60

ტელეფონი: 227200

საზღვრები: ყიფშიძის ქუჩის ორივე მხარე დასაწყისიდან ბოლომდე და ამ ტერიტორიაზე არსებული ყველა კორპუსი გარდა სტუდქალაქის დასახლეისა №1ა, №2ა, №3ა, №4ა, №37ა, №37ბ და გარდა ი. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე №№ 1, 2, 3, 4 კორპუსებისა.

№15 საარჩევნო უბანი

ცენტრი: უცხო ენათა ინსტიტუტი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №45

ტელეფონი: 230507, 290747

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის პროსპექტის კენტი ნომრები №39-დან №47-ის ჩათვლით, გ. წერეთლის გასასვლელის კენტი ნომრები თამარაშვილის ქუჩამდე. თამარაშვილის ქუჩის ორივე მხარე №1-დან №13-ის ჩათვლით და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№16 საარჩევნო უბანი

ცენტრი: მომსახურეობის სერვისული ცენტრი ბაგების ფილიალი

მისამართი: წყნეთის ქ. №2

ტელეფონი: 130153, 230102

საზღვრები: წყნეთის ქუჩა მთლიანად და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№17 საარჩევნო უბანი

ცენტრი: გარემოს დაცვის ინსტიტუტი

მისამართი: ი. ხაბეიშვილის №75

ტელეფონი: 231791

საზღვრები: ი. ჭავჭავაძის გამზირის კენტი ნომრები №49-დან №55-ის ჩათვლით, გ. წერეთლის გასასვლელი თამარაშვილის ქუჩამდე, თამარაშვილის ქუჩის მარცხენა მხარე მდინარე ვერემდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№18 საარჩევნო უბანი

ცენტრი: ბაგების №135-ე საშ. სკოლა

ტელეფონი: 292948

საზღვრები: იმედაძის ქუჩა მთლიანად, წყნეთის გზატკეცილი მთლიანად და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა, შესახვევი და სახლი.

№19 საარჩევნო უბანი

ცენტრი: ბაგების სტუდქალაქი

მისამართი: წყნეთის გზატკეცილი

ტელეფონი: 304762

საზღვრები: სტუდქალაქის დასახლება.

№20 საარჩევნო უბანი

ცენტრი: II გიმნაზია

მისამართი: ს. ჩიქოვანის ქ. №26

ტელეფონი: 364460, 374719

საზღვრები: ს. ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) წყვილი ნომრები 2-დან 26-ის ჩათვლით და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№21 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი

მისამართი: ნუცუბიძის ქ. №5

ტელეფონი: 388179

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის კენტი ნომრები №1-დან №19-მდე, ზემო ვეძისის და დელისის გამყოფი ხევი მთის ძირამდე. ლისის ტბის დასახლება, ბრიტაშვილისა და ბუდაპეშტის ქუჩების მარცხენა მხარე ნუცუბიძის ქუჩიდან მთის ძირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და შესახვევი.

№22 საარჩევნო უბანი

ცენტრი: ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი

მისამართი: დელისის III ქ. №21

ტელეფონი: 396943

საზღვრები: ზემო ვეძისის და დელისის გამყოფი ხევი მთის ძირიდან ნუცუბიძის ქუჩა №22 სახლის ჩათვლით. ნუცუბიძის ქუჩის კენტი ნომრები საბაგირო გზის სადგურამდე, დელისის ქუჩა, ონკოლოგიური საავადმყოფო და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№23 საარჩევნო უბანი

ცენტრი: შპს “საბინაო კომუნალური გაერთიანების ფილიალი “დელისი 77” სერვისული ცენტრი”

მისამართი: ნუცუბიძის ქ. №72

ტელეფონი: 315549

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის კენტი ნომრები საბაგირო გზიდან ძოწენიძის ქუჩამდე, ძოწენიძის ქუჩის ქვედა მხარე ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის I კვარტალამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№24 საარჩევნო უბანი

ცენტრი: 171-ე საშ. სკოლა

მისამართი: ნუცუბიძის III მ/რ, II კვარტალი

ტელეფონი: 316259

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის I კვარტალი მთლიანად და ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუსები ძოწენიძის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა კორპუსი.

№25 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №142-ე ბაგა-ბაღი

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი III მ/რ, II კვარტალი

ტელეფონი: 324111

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის III და IV კვარტლები მთლიანად. ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუსები №№7, 8, 9 და ამ საზღვრებში შემავალი ყველა კორპუსი.

№26 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “სოფლმშენი”

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. №45

ტელეფონი: 395649

საზღვრები: ვაჟა-ფშაველას გამზირის კენტი ნომრები ვაჟა ფშაველას გამზირის I ჩიხიდან №47ბ-ს ჩათვლით. ვაჟა ფშაველას გამზირის №47ბ-დან ნუცუბიძის ქუჩამდე, ნუცუბიძის ქუჩის ლუწი ნომრები ფ. თავაძის ქუჩამდე, ფ. თავაძის ქუჩის ორივე მხარე ვაჟა ფშაველას გამზირამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№27 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “თბილჰიდროპროექტი”

მისამართი: ალ. ყაზბეგის პრ. №47

ტელეფონი: 251797

საზღვრები: ვაჟა ფშაველას გამზირის წყვილი ნომრები ტროლეიბუსის პარკიდან გაბაშვილის ქუჩამდე. გაბაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ვაჟა ფშაველას გამზირიდან ალ. ყაზბეგის გამზირამდე, ალ. ყაზბეგის კენტი ნომრები გაბაშვილის ქუჩიდან ტროლეიბუსის პარკამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№28 საარჩევნო უბანი

ცენტრი: ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №49

ტელეფონი: 391562

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის წყვილი ნომრები №58-დან №66-ის ჩათვლით, ნუცუბიძის №66-დან ვაჟა ფშაველას გამზირამდე, ვაჟა ფშაველას გამზირის კენტი ნომრები №53-დან №49-ის ჩათვლით, ვაჟა ფშაველას გამზირის №49-დან ნუცუბიძის ქუჩის №58-ის ჩათვლით და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№29 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №122-ე საშ. სკოლა

მისამართი: ქავთარაძის ქ. №23

ტელეფონი: 304992

საზღვრები: ვაჟა ფშაველას გამზირის VII კვარტალის №№5, 5ა, 6, 7, 16, 26 და №28 კორპუსები და ქავთარაძის ქუჩაზე განლაგებული მაღლივი კორპუსები.

№30 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №151-ე საშ. სკოლა

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №51

ტელეფონი: 327014, 316975

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის ლუწი ნომრები №68-დან №76-ის ჩათვლით, მიქელაძის ქუჩის კენტი ნომრები ვაჟა ფშაველას გამზირამდე. ვაჟა ფშაველას გამზირის კენტი ნომრები მიქელაძის ქუჩიდან ვაჟა ფშაველას გამზირის №55-ე კორპუსის ჩათვლით, ვაჟა ფშაველას გამზირის №55-დან ნუცუბიძის ქუჩის №68-ის ჩათვლით და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№31 საარჩევნო უბანი

ცენტრი: მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი

მისამართი: გელოვანის ქ. №5

ტელეფონი: 324051

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის ლუწი ნომრები №78-დან №84ა-ს ჩათვლით, ნუცუბიძის ქუჩის №84ა-დან ვაჟა ფშაველას გამზირის III კვარტალში შემავალი №№1, 2, 3, 4 და 5 კორპუსები. ვაჟა ფშაველას გამზირის III კვარტალის №1 კორპუსიდან მიქელაძის ქუჩამდე. მიქელაძის ქუჩა ვაჟა ფშაველას გამზირიდან ნუცუბიძის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№32 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “საქსაშენმასალების” ინსტიტუტი

მისამართი: ალ. ყაზბეგის ჩიხი №4

ტელეფონი: 390646

საზღვრები: ალ. ყაზბეგის გამზ. წყვილი ნომრები თამარაშვილის ქუჩიდან ტროლეიბუსების პარკამდე, თამარაშვილის ქუჩის წყვილი ნომრები ალ. ყაზბეგის გამზირიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე, უნივერსიტეტის ქუჩიდან ტროლეიბუსების პარკამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და სახლი.

№33 საარჩევნო უბანი

ცენტრი: მე-2 სამუსიკო სასწავლებელი

მისამართი: ნუცუბიძის ქ. №181

ტელეფონი: 322055

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის კენტი ნომრები ძოწენიძის ქუჩიდან ე. ბედიას ქუჩამდე, შავგულიძის და მარგიანის ქუჩის, ორივე მხარე, ყლენტის ქუჩა №20-დან №40-ის ჩათვლით, ნუცუბიძის ფერდობის II მიკრორაიონის №№1, 1ა და 6 კორპუსი და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№34 საარჩევნო უბანი

ცენტრი: შპს საბინაო კომუნალური გაერთიანების ფილიალი, ნუცუბიძის პლატო

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობის II მ/რ, I კვ. 3 კორპ.

ტელეფონი: 315379

საზღვრები: ყლენტის ქუჩის ორივე მხარე №20 სახლიდან ნუცუბიძის ფერდობის II მიკრორაიონის V კვარტალის №7 კორპუსამდე. “თბილწყალკანალის” რეზერვუარის ღობის მარჯვენა მხარე ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონის საზღვრამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№35 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №170-ე საშ. სკოლა

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი, მე-11 მ/რ, II კვ.

ტელეფონი: 324710, 325402

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის II მიკრორაიონის IV კვარტალის ყველა კორპუსი.

№36 საარჩევნო უბანი

ცენტრი: 126-ე საშ. სკოლა

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №71

ტელეფონი: 327464

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის ნომრები თოფურიას ქუჩიდან ნუცუბიძის ქუჩის №86-ის ჩათვლით. ნუცუბიძის ქუჩის №86-დან ვაჟა ფშაველას გამზირამდე. ვაჟა ფშაველას გამზირის III კვარტალის №9-ე კორპუსიდან თოფურიას ქუჩამდე და თოფურიას ქუჩის მარჯვენა მხარე ვაჟა ფშაველას გამზირიდან ნუცუბიძის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა და კორპუსი.

№37 საარჩევნო უბანი

საზღვრები: ქავთარაძის ქუჩის №20-დან №24-ე კორპუსის ჩათვლით, ვაჟა ფშაველას გამზირის VII კვარტალის ყველა კორპუსი გარდა №№5, 5ა, 6, 7, 16, 21, 22, 26 და 28-ე კორპუსებისა.

№38 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №35-ე საფეხბურთო სკოლა

მისამართი: ქავთარაძის ქ. №26

ტელეფონი: 302944

საზღვრები: ქავთარაძის ქუჩის წყვილი ნომრები სანდრო ეულის ქუჩიდან თოფურიას ქუჩამდე, ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალის №21 და №22 კორპუსები. ვაჟა ფშაველას მე-6 კვარტალის №№ 7, 8, 10, 11, 15, 16, 17, 18, 21 და 22 კორპუსები და ქავთარაძის ქუჩის №18 სახლი.

№39 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სააქციო საზოგადოება “პლასტიკა”

მისამართი: ჯიქიას ქ. №4

ტელეფონი: 315475

საზღვრები: ქავთარაძის ქუჩის კენტი ნომრები სანდრო ეულის ქუჩიდან შავიშვილის ქუჩამდე. ვახან მამასახლისოვის ყველა კორპუსი და ვაჟა ფშაველას V კვარტალის №1 კორპუსი.

№40 საარჩევნო უბანი

ცენტრი: სამთო მექანიკის ინსტიტუტი

მისამართი: მინდელის ქ. №7

ტელეფონი: 315090, 329216

საზღვრები: ნუცუბიძის ქუჩის კენტი ნომრები ბედიას ქუჩიდან მინდელის ქუჩამდე, მინდელის ქუჩის ორივე მხარე ჯიქიას ქუჩამდე. ჯიქიას ქუჩის ორივე მხარე მინდელის ქუჩიდან სანდრო ეულის ქუჩამდე, სანდრო ეულის ქუჩის მარცხენა მხარე ჯიქიას ქუჩიდან ნუცუბიძის ქუჩამდე, ვაჟა ფშაველას გამზირის V კვარტალის №1 კორპუსის გამოკლებით.

№41 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №122-ე ბაგა-ბაღი

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი I მ/რ

ტელეფონი: 315218

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის I მიკრორაიონის ყველა საცხოვრებელი კორპუსი.

№42 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №201 ბაგა-ბაღი

მისამართი: პლატოს V მ/რ

ტელეფონი: 315439

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის V მიკრორაიონი №1-დან №11 კორპუსის ჩათვლით, ნუცუბიძის ფერდობის II კვარტალის კორპუსი №№5, 7 და ნუცუბიძის ფერდობის II მიკრორაიონის III კვარტალის კორპუსები №7 და №8.

№43 საარჩევნო უბანი

ცენტრი: “რაინდთა სკოლა” ინსტიტუტი

მისამართი: ნუცუბიძის პლატოს V მ/რ

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუსები №17-დან №20-ის ჩათვლით, ნუცუბიძის ფერდობის მე-2 მიკრორაიონის III კვარტალის კორპუსები №№5, 6 და №9.

№44 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №27-ე საბავშვო ბაგა-ბაღი

მისამართი: შავიშვილის ქ. №5

ტელეფონი: 300449

საზღვრები: ვაჟა ფშაველას გამზირის IV კვარტალის კორპუსები №№1, 2, 2ა, 9, 3ა, 3ბ, 4, 8, 10, 14, 18, 20. ვაჟა ფშაველას გამზირის VI კვარტალის კორპუსები №№1ა, 1ბ, 2, 3, 4, 5ა, 5ბ, 6, 20.

№45 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №128-ე საშ. სკოლა

მისამართი: თოფურიას ქ. №12

ტელეფონი: 328360, 328260

საზღვრები: ვაჟა ფშაველას გამზირის IV კვარტალში შემავალი ყველა კორპუსი გარდა №№ 1, 2, 2ა, 9, 3ა, 3ბ, 4, 8, 10, 14, 18 და 20-ის.

№46 საარჩევნო უბანი

ცენტრი: №102-ე საბავშვო ბაღი

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი IV მ/რ

ტელეფონი: 328697

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის №№21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 29 კორპუსები.

№47 საარჩევნო უბანი

ცენტრი: მე-4 გიმნაზია

მისამართი: ნუცუბიძის პლატო IV მ/რ

საზღვრები: ნუცუბიძის ფერდობის მე-4 მიკრორაიონის №1 კორპუსიდან №16 კორპუსის ჩათვლით.

№48 საარჩევნო უბანი

ცენტრი: დაბა წყნეთი №137-ე საშუალო სკოლა

ტელეფონი: 228389

საზღვრები: ქვემო წყნეთი, სააკაძის ქუჩის კენტი ნომრები რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩის წყვილი ნომრები სტალინის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა, შესახვევი და ჩიხი.

№49 საარჩევნო უბანი

ცენტრი: წყნეთის აგარაკების სამმართველო

ტელეფონი: 228358

საზღვრები: ზემო წყნეთი, სააკაძის ქუჩის ლუწი ნომრები რუსთაველის ქუჩამდე. რუსთაველის ქუჩის კენტი ნომრები სტალინის ქუჩამდე და ამ საზღვრებში შემავალი ყველა ქუჩა, შესახვევი და ჩიხი.

№50 საარჩევნო უბანი

ცენტრი: დაბა წყნეთი

ცენტრი: საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება №2

მისამართი: ქავთარაძის ქ. №16

ტელეფონი: 304132

ვიდეოკასეტა გვიამბობს

„აფეთქების ორგანიზატორი იყო გიორგაძე“

ვაგრძელებთ იმ საუბრის გამოქვეყნებას, რომელიც 1995 წლის 8 დეკემბერს შედგა უშიშროების მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, ბრალდებულ თემურ ხაჩიშვილსა და იმჟამინდელ გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის გიგლა აგულაშვილს შორის.

ბაბილაშვილი: – ჯაბასთან არ გქონია საუბარი, რომ გიორგაძე იქ არის და ჩვენ აქ რატომ ვაკეთებთ ამასო? ეს საუბარი არ იყო?

ხაჩიშვილი: – არა, საუბარი, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ, ასეთი რამ...

ბ: – არა, წინააღმდეგი არა, მაგრამ რატომაა გიორგაძე წასული და ჩვენ მარტო რატომ ვაკეთებთ ამას...

ხ: – არა, ასეთი გარჩევა ჯაბასთან არ ყოფილა.

ბ: – ჯაბასთან იყო ცალსახად – უნდა გაკეთდეს?

ხ: – დიახ. არსაიდან არ გამოვძვრები, მე იმიტომ ვამბობ ამას... რაც იყო, იმას ვიტყვი. აქ მეორე მომენტია, ბატონო ჯამლეთ. როგორც არ უნდა დარჩეს გარეთ გიორგაძე, მე ჩემს მისაწვდენს მივწვდები. იცით, რომ, არც იგორ გიორგაძეზე ნაკლები ძალა მქონდა და არც ჯაბა იოსელიანზე. მე, ვინც მისაწვდომია, ყველას მივწვდები. იმიტომ, რომ მაგათი გულისთვის... მე არც შევარდნაძის გულისთვის ვზივარ და არც სხვა ვინმეს გულისთვის. ვზივარ მაგათ გულისთვის. და მაგათ გულისთვის უნდა გავუბედურდე? მივწვდები მე მაგათ... იგივეს გამოვუცხადებ მე ჯაბას, რომ შევხვდები. შენ შვილი გერმანიაში გყავს გაბარდღალებული და შენი ხუმტურის გულისთვის... მე ამას არ ვმალავ, მე ამას პირდაპირ გეტყვით. მე ჯაბას იმაში ვამტყუნებ, შეიძლება არასწორი იყოს, რადგან მე ვარ თვითონ ასეთი პიროვნება, შენი ხელისუფლების გულისთვის იჭერენ ხაჩიშვილს, გელაშვილს, შენი დავალებით არის ეს ყველაფერი გაკეთებული, შენ კი ამის მერე გადიხარ პარლამენტზე და დეპუტატობას ითხოვ? მას თავად ხომ ჰქონდა შესაძლებლობა? შევარდნაძეს ხომ ხვდებოდა? ამოიღე და ესროლე. შენი პოზიცია დაამტკიცე. ამას თუ არ აკეთებ, ესე იგი, არანაირი კაცობის მომენტი არა გაქვს. მე იგივეს გამოვუცხადებ გელაშვილს. გელაშვილთან შეხვედრა მე რატომ მინდოდა, რომ თუ ვამბობთ რაღაც სათქმელს, მაშინ ვთქვათ ბოლომდე. შენ ამბობ გიორგაძეზე, ამბობ ხაჩიშვილზე, ღმერთმა გაგიმარჯოს, მაგრამ რატომ არ ამბობ ჯაბაზე? მე გელაშვილს კი არ ვემუქრები, მაგრამ მე ვეტყვი, რომ... მე ქურდობას არ ვაპირებ, არანაირ ქურდობას არ ვაპირებ, არც სხვა რამეს... მე ეს მომენტები არ მაწუხებს, მე სხვა კრიტერიუმები მაქვს. რაც სათქმელია, ვთქვათ ჯაბაზეც. გამოვუცხადოთ ჯაბასაც: მე რატომ უნდა ვამბობდე შენზე, შენ თვითონ თქვი. შენ თვითონ თქვი ესა. ე. ი. შენ კარგი კაცი გინდა დარჩე და მე დამხერიტონ? შენ რატომ არ ამბობ?... მე უნდა დავიხერიტო და ჯაბა იოსელიანი კი დეპუტატი იყოს? თან უნდა ეთქვა, რომ მე მინდა დემოკრატი შევარდნაძე და არა დიქტატორიო? ჩემთვის შევარდნაძე დემოკრატიც მიუღებელია და დიქტატორიც. რაც მოსაკუთვნებელია, მომაკუთვნონ. და თან მე გადავწყვიტე, ამ „ტილიკებთან“ და „სილიკებთან“ და იმებთან დავდგე თუ არ დავდგე სასამართლოზე. მე ჩემს გადასაწყვეტს, რაც მე მაქვს გადასაწყვეტი ჩემი თავისთვის, მე გადავწყვეტ, როცა გიორგაძეს და ჯაბას თავის მოსაკვენეტელს მოვაკვენიტავ. მე ახლა დავიწყო, რომ შევარდნაძეს მხარს ვუჭერ-მეთქი, ამას ვერასოდეს ვერ ვიტყვი. ეს მის ნამუსზე იყოს და მის კაცობაზე იყოს, რასაც გამიკეთებს. ამიტომ ვამბობ მე, არც იმას ვაბრალებ და არც იმას... იყო, აი, ასე, კონკრეტულად, ჩამოვედი მოსკოვიდან, მერე აქ შევხვდი გულიევს და ვუთხარი ყველაფერი. ასევე – კვეზერელს. კვეზერელმა ეს თქვა: გასაკეთებელიაო. გიორგაძეს უარი რომც ეთქვა, ჩვენ მაინც ვაკეთებთო.

ბ: კვეზერელი ვის უფრო უჯერებდა, ჯაბას თუ გიორგაძეს?

ხ: – გიორგაძეს და გიგას.

ბ: – გიგას?

ხ: – გიგას. უფრო მეტად გიგას უჯერებდა, უფრო ახლობელი იყო. გიორგაძეზე მეტად გიგას უჯერებდა. არც ჯაბა მოსწონდა. კვეზერელი ჯაბას აგინებდა... რატომ აგინებდა კვეზერელი ჯაბას? იმიტომ, რომ მისთვის ჯაბა იყო მაფიოზი. თუმცა კვეზერელსაც და გელაშვილსაც კისერზე რაღაცეები ჰქონდათ ჩამოკიდებული...

ბ: – თუ კვეზერელიც იგივეს აკეთებდა, ესე იგი, დანაშაულს ჩადიოდა. მაშინ სხვაზე რანაირად, რა მორალით ლაპარაკობდა? შენ თვითონ ამბობ, მაგასა და გიგას კისერზე რაღაცეები ჩამოკიდებული ჰქონდათო.

ხ: – ეს გამოწვეული იყო სისულელეებით, სამართალს ასწორებდნენ ხმლით... სამართალს ქმნიდნენ ხმლით. ეს იყო, მეტი არაფერი...

ბ: – კარგი, მერე? გულიევს შეხვდი, გულიევს ელაპარაკე?

ხ: – გულიევს ველაპარაკე, ვუთხარი, აი, ეს ესაა, ესეც ესაა-მეთქი.

ბ: – გულიევი მაინც რა როლს თამაშობდა? კოორდინატორი იყო ამათი თუ ხელმძღვანელი?

ხ: – ნუ, გულიევი კვეზერელის და გელაშვილის ხელმძღვანელი არასოდეს არ ყოფილა.

ბ: – ახლა ვინ იყო მთავარი ფიგურა? ე. ი. გიორგაძე არ იყო აქ. აქ მთელი ეს ჯგუფი ვის ემორჩილებოდა, ვინ იყო ავტორიტეტი ამ ჯგუფისათვის?

ხ: – ავტორიტეტი? ავტორიტეტთან დაკავშირებით მე მქონდა ძალიან დიდი ავტორიტეტი, მაგრამ...

ბ: – ვინ წარმართავდა საქმეს, ვისთან ათანხმებდნენ, ვის უსმენდნენ?

ხ: – ეს იყო აგორებული ტალღა, აგორებული ტალღა, რომელიც უკვე არავის უსმენდა.

ბ: – იმ დღეს სად იყავი, 29-ში?

ხ: – 29-ში სად ვიყავი? 29-ში მე შევხვდი იმათ. სიმართლე რომ გითხრათ, არც გადარწმუნება მიცდია და არც არაფერი...

ბ: – იცოდი, რომ 29-ში უნდა მომხდარიყო ეს ამბავი?

ხ: – კი, ნუ... კი ვიცოდი.

ბ: – ვინ გითხრა, მზადა ვართ, 29-ში გავაკეთოთ ეს ამბავიო?

ხ: – ამას ზუსტად ვერ გეტყვით. 28-ში ღამე, 29 რომ თენდებოდა, პრინციპში სიმართლე რომ გითხრათ, ჩამოვიდა გიგა გელაშვილი რუსთავში ღამე და წაიყვანა ის ბიჭი, ვინც აფეთქებისას მანქანაში ჰყავდა. მაშინ ვუთხარი, რომ ცმუკავ-მეთქი რა, შეეეშვათ. უკვე ძალიან ისე კეთდება-მეთქი, რომ... ხომ არის ახლა საქმეები, როცა ადამიანს გარკვეული აჩქარება ეტყობა, ავარდნილი მომენტი რომაა, მაშინ შეცდომებს უშვებს და მე ვუთხარი ეს... მომადგა და სასწრაფოდ ეს ბიჭი მომეციო, უნდა წავიდეთო, მანქანა უნდა დავაყენოთო, ეს ვქნათო, ის ვქნათო. მაშინ ვუთხარი, მე ვუთხარი არასწორია-მეთქი, რა. აჩქარებულად არ გამოვა-მეთქი ეს საქმე. დაველოდოთ, ჩამოეთრეს-მეთქი ის და რაც გასაკეთებელია მერე გავაკეთოთ-მეთქი. მაინც წამოვიდა ღამე.

ბ: – დღისით ვერ ჩამოიდოდა?

ხ: – ახუნტრუცებული იყო. წამოიყვანა ის ბიჭი...

ბ: – ის ბიჭი რა გვარია?

აგულაშვილი: – რომელზე ამბობ, რომელ ბიჭზე? „07“-ზე ლაპარაკობ თუ „ნივაზე“ ლაპარაკობ?

ხ: – „07“-ზე, ბარბაქაძეზე.

ა: – ბარბაქაძეზე?

ხ: – „07“ თვითონ ჰყავდა მაგას. „07“-ით მოაკითხა.

ბ: – კარგი და, ეს ბარბაქაძე რად უნდოდა?

ხ: – მანქანა შეიყვანოსო პარლამენტის ეზოში...

ბ: – და იმას რატომ უნდა შეეყვანა?

ხ: – ნუ, ჩემიანი შეაკვეხეს მიგნით იმიტომ, რომ თავისებური ეშმაკობა გელაშვილს აქვს.

ბ: – და რა გარანტია ჰქონდათ, რომ შევიდოდნენ შიგ, ეზოში?

ხ: – ნუ რა, უშვებდნენ ჩვეულებრივად. იმიტომ, რომ შევარდნაძის შეცდომებია... ქუთათელაძის ხელში ყოველ მეთხევაში... არა, პიროვნულად გადასარევი ბიჭია, მაგრამ...

ბ: – იმ დღისით ვის შეხვდით?

ხ: – იმ დღისით გიგასაც შევხვდი, კვეზერელსაც შევხვდი.

ბ: – რატომ?

ხ: – ნუ, უბრალოდ შევხვდი.

ბ: – იმ დღეს ჯაბას შეხვდი?

ხ: – არა.

ბ: – არ იყო გათვალისწინებული, ვინ სად უნდა ყოფილიყო იმ დღისით, აფეთქების დღეს? ჯაბამ იცოდა, რომ ის იმ დღეს უნდა მომხდარიყო?

ხ: – მე მგონი.

ბ: – ვისგან იცოდა?

ხ: – გელაშვილისგან ეცოდინებოდა... მე ვცდილობდი ნაკლებად შევხვედროდი, იმიტომ, რომ გარკვეული ანტაგონიზმი მქონდა მაგ კაცთან. იმიტომ, რომ გიგას უთხრა, ორმოცდაათი პროცენტითაც რომ იყოს, უნდა გააკეთოო...

ბ: – ეს უთხრა მაგან წყნეთში, არა?

ხ: – წყნეთში.

ბ: – ცუდად ხომ არა ხარ?

ხ: – ცოტა გული მაწუხებს, ყოველდღე მაწუხებს გული. ნუ, ეს ბავშვობიდან მაწუხებს... ხოდა, მაშინაც გავუმეორე გელაშვილს, რომ თუ ეს საქმე გასაკეთებელია, ადგეს და თვითონ გიორგაძემ გააკეთოს-მეთქი. მე არაფერს არ უარვყოფ და ერთ-ერთი ხელმძღვანელიც ვიყავი. დასამალი მე არაფერი მაქვს. ბევრჯერ ვთქვი, რომ... ადგეს და თვითონ გააკეთოს-მეთქი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 90, 91, 92.

---

30 წელი საბანკო საქმის სამსახურში

65 წელი შეუსრულდა ჩვენს უფროს კოლეგასა და მეგობარს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს **ჯუმბერ გონაშვილს.** აქედან 30 წლის მანძილზე ბატონი ჯუმბერი ერთგულად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს – საბანკო საქმეს. ჯ. გონაშვილი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ბანკის, „მშენბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“ სისტემებში; ასრულებდა „საქბინსოცბანკის“ გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას. 1995 წლიდან ბატონი ჯუმბერი „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ სხვადასხვა თანამდებობაზეა. ამჟამადაც იგი ჩვენი ბანკის დირექტორატის წევრი და დეპარტამენტის დირექტორია.

ათწლეულების მანძილზე ჯ. გონაშვილს იცნობენ, როგორც პრინციპულ, საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ, მაღალი რანგის პროფესიონალს, გამორჩეული ენერგიითა და პასუხისმგებლობით დაჯილდოებულ პიროვნებას. საბანკო წრეებში აღიარებულია მისი მაღალი ავტორიტეტი.

ცნობილია ბატონი ჯუმბერის შესაშური ადამიანური თვისებები: ერთგულება, პატიოსნება, გულისხმიერება, მეგობრობისა და მხარში ამოდგომის განსაკუთრებული უნარი. თავად სამაგალითო მეოჯახეს, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, შვილები, სიძეები და შვილიშვილები.

ვულოცავთ ბატონ ჯუმბერს ამ ღირსშესანიშნავ, ლამაზ თარიღებს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს ჩვენს საერთო საქმიანობაში.

სს „გაერთიანებული
ქართული ბანკის“
სამეთვალყურეო
საბჭო,
დირექტორატი.

ბიბლიოთეკა

- **რუსეთი: ჯავშანი ჯარისაგან – იეღოველობა.**
- **ამერიკას და იაპონიას სამხედრო რეფორმებს ატარებენ.**

სახელმწიფო სათათბირო ალტერნატიულ სამსახურს იწონებს

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი წაკითხვით მოიწონა „ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის კანონპროექტი", რომელიც მთავრობამ შეიტანა.

მიღებული პროექტის თანახმად, ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის ვადაა ოთხი წელიწადი, ხოლო უმაღლესი განათლების პირთათვის – ორი წელი. ამასთან, გაწვევის კომისიას შეეძლება, უარი უთხრას ალტერნატივის მსურველს, თუ იგი ვერ მოიტანს დასაბუთებულ არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ სამხედრო სამსახური ეწინააღმდეგება მის შინაგან მრწამსს ან სარწმუნოებას.

წარმოდგენილ სამივე ვარიანტს არსებითად ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: მიეცათ შესაძლებლობა გასაწვევი ასაკის ახალგაზრდისათვის, რომელსაც არ სურს, იარაღით ხელში იმსახუროს ჯარში, გაიაროს ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამხედრო ხელოვნებასთან. კანონის თანახმად, ახალგაზრდებს მიეცემათ ალტერნატიული სამსახურის შესაძლებლობა, როგორც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ისე მისგან დაშორებით. გარდა ამისა, ალტერნატივის მთხოვნელთ შეუძლიათ, ისწავლონ დაუსწრებელ ან საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში.

დეპუტატთა ვარიანტი საკმარისად მიიჩნევდა, რომ მეალტერნატივეს უბრალოდ განემარტა კომისიისათვის თავისი მოტივები.

შრომისა და სოციალური განვითარების მინისტრმა ალექსანდრე პოჩინოკმა, რომელმაც სათათბიროში წარადგინა კანონპროექტის მთავრობისეული ვარიანტი, თქვა, რომ მტკიცებითი პრინციპი იმის გარანტიაა, რომ სამოქალაქო სამსახურის უფლებით ვერ ისარგებლებენ ფსევდოპაციფისტები.

„ერთი მხრივ, უხეში და არასწორია, მოატანინო ახალგაზრდა კაცს ცნობა, რომ იგი მორწმუნეა, – თქვა პოჩინოკმა, – მეორე მხრივ, ხომ არ შეიძლება, გამწვევ კომისიას ჩამოართვა უარის თქმის უფლება. სამწუხაროდ, სავსებით რეალურია სიტუაცია, რომ კაცი, რომელიც სულაც არ არის გულჩვილი, კომისარიატში მივა და განაცხადებს: „აი, მე მინდა, ალტერნატიული სამსახური გავიაროო".

სწორედ პაციფისტური მრწამსის დამტკიცების აუცილებლობა იწვევს მართლქომაგთა ყველაზე დიდ უკმაყოფილებას. „ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის პრეზიდენტის ლევ პონომარიოვის თქმით, ახალგაზრდა კაცი, რომელიც სამოქალაქო სამსახურს ამჯობინებს სამხედროს, აქ დიდ პრობლემებს წააწყდება. მისი თქმით, ეს კვლავ გახდება ქრთამების მიზეზი.

Artur Propas

როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგი ივანოვმა განაცხადა, სამხედრო უწყება ძალზე დაინტერესებულია იმით, რომ, რაც შეიძლება მალე იქნეს მიღებული კანონი ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის შესახებ.

ალტერნატიულ სამსახურზე დიდი კამათია ჩვენშიც. და პარლამენტი, ალბათ, საბოლოოდ მიიღებს შესაბამის კანონს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ კანონი ამ სახით იქნა მიღებული, მაშინ – აღმსარებლობის კანონის არარსებობის პირობებში – ბასილ მკალავიშვილს ნამდვილად დასჭირდება სახელმწიფოს დახმარება, მართლმადიდებლობაში დარჩენილმა ახალგაზრდობამ, ჯარის შიშით, იეღოველობაში რომ არ იხუვლოს. (ა. მ.).

იაპონია არმიას აძლიერებს

ამომავალი მზის ქვეყნის მმართველმა კოალიციამ პარლამენტში შეიტანა თავდაცვის კანონმდებლობის ცვლილებათა პროექტი, რათა გააძლიეროს არმია ქვეყანაზე შესაძლო შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევისათვის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, იაპონიამ მიიღო პაციფისტური კონსტიტუცია, რომელიც შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავა. ეს არის პირველი მცდელობა, შეცვალონ ამ კონსტიტუციიდან გამომდინარე დებულებანი საგანგებო კანონმდებლობის ფარგლებში.

შემოთავაზებული ცვლილებები მთავრობას საშუალებას აძლევს, შექმნას სამხედრო კომიტეტი იაპონიაზე თავდასხმის შემთხვევაში, აგრეთვე, შეასუსტოს სამხედროების მიერ იარაღის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვები.

პარლამენტმა ივნისის შუა რიცხვებამდე უნდა განიხილოს კანონთა პაკეტი, რომელიც სამი საკანონმდებლო აქტისაგან შედგება და უკვე მოიწონა პრემიერ ძიუნიჩირო კოძუმის კაბინეტმა.

ისინი მიუთითებენ ოცდაათიანი წლების გაკვეთილზე, როდესაც სამხედროებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მთავრობა და ომში ჩაითრიეს იაპონია.

კონსერვატორები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევს საშუალებას სამხედროებს, ჯეროვნად დაიცვან ქვეყანა.

კანონების ცვლილებათა მხარდაჭერა განსაკუთრებით განმტკიცდა შეერთებულ შტატებზე 11 სექტემბერს მიტანილი იერიშისა და გასული წლის დამლევს იაპონელ მესაზღვრეებსა და იმ საჯაშუშო გემს შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ, რომელიც, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ კორეას ეკუთვნოდა.

იაპონელი სამხედროების როლის გაძლიერება და მთავრობისათვის ახალ უფლებამოსილებათა მინიჭება კოიძუმის საკვანძო საარჩევნო დაპირება იყო. თუ ახალი კანონები მიიღეს, ეს დიდ წარმატებას მოუტანს იაპონიის პრემიერს, რომელიც თანდათან კარგავს პოპულარობას.

იაპონიაში მოქმედი კანონების მიხედვით, არ შეიძლება სანგრების თხრა ან ღობურების შენება მიწაზე, რომელიც კერძო საკუთრებაში შედის, მფლობელის ნებადაურთველად. ხოლო თუ არმიას ჯარების გადასაყვანად დასჭირდა თავდასხმის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთება, ამისათვის მშენებლობის სამინისტროს თანხმობა უნდა მიიღოს.

იაპონიის შეიარაღებული ძალები 240 ათასს კაცს ითვლის. ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში და 50 მილიარდ დოლარს აღწევს. მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, არმია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვისათვის არსებობს.

აშშ: იცვლება არმიის სარდლობის სტრუქტურა

აშშ თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის სტრუქტურის ცვლილებათა გეგმა. პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე გამოსვლისას შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის მეთაურმა, გენერალმა რიჩარდ მაიერსმა აღნიშნა, რომ ეს არის ყველაზე ძირეული რეფორმა მისი 37 წლის სამხედრო კარიერის მანძილზე.

კერძოდ, აშშ ევროპული სარდლობა, რომელსაც სამხედრო საჰაერო ძალების გენერალი ჯოზეფ რალსტონი მეთაურობს, ამიერიდან გაუძღვება რუსეთთან ურთიერთობას, რაც წინათ უშუალოდ პენტაგონს ევალებოდა. რაც შეეხება შორეულ აღმოსავლეთში განლაგებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, მათთან თანამოქმედება ეკისრება აშშ წყნარი ოკეანის ჰავაის სარდლობას – გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპის მიხედვით.

სექტემბრის ტერაქტებამდე აშშ შეიარაღებული ძალები არასდროს არ ყოფილა ორგანიზებული იმ საფრთხის მოსაგერიებლად, რომელიც მომდინარეობდა არა საზღვარგარეთიდან, არამედ შიგნიდან.

ამიერიდან ყალიბდება ახალი სარდლობა – ჩრდილოეთისა, რომელიც პირველი ოქტომბრიდან შეუდგება ფუნქციონირებას. იგი პასუხს აგებს ამერიკის ტერიტორიისა და სანაპირო წყლების თავდაცვისათვის.

აშშ თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის თქმით, 11 სექტემბერს პენტაგონში დაიწყეს რეკვა – ითხოვდნენ, დაგვიცავითო. „რატომ? – იკითხა რამსფელდმა. – იმიტომ, რომ თქვენ ხართ თავდაცვის სამინისტრო". მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ პენტაგონს ამ მხრივ უაღრესად შეზღუდული შესაძლებლობანი ჰქონდა, მას კი არ ძალუძს, ჯეროვნად მოიგერიოს შინაური საფრთხე.

„ჩვენი რადარები სულ სხვა მხარეს იყო მიმართული", – შენიშნა რამსფელდმა და განმარტა, თუ რატომ მიიჩნევს საჭიროდ სამხედროებმა, შექმნათ სპეციალური სტრუქტურა საკუთრივ ამერიკის ტერიტორიის დასაცავად.

უცვლელად დარჩება აშშ და კანადის საჰაერო თავდაცვის დაქვემდებარების სისტემა, რომელსაც კვლავინდებურად გაუძღვება ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის სარდლობა (NOKAD). NOKAD-ს სათავეში ჩაუდგება აშშ ჩრდილოეთის სარდლობის მეთაური.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
არჩილ მანჯგალაძემ.

არ ეთანხმებიან

საეჭვო მეთადონით რატომ?

მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრი ნატო ჩხეიძე და გთხოვთ, გამომიქვეყნოთ ჩემი განმარტება თქვენი გაზეთის 16 აპრილის (№90) ნომერში დაბეჭდილ წერილზე: „ნარკომანიასთან ბრძოლაში პარლამენტი უთუოდ გამოკვეთს პოზიციას" ხელმომწერთა მართლაც შთამბეჭდავი სიით, სადაც ჩემთვის რამდენიმე განსაკუთრებით პატივსაცემი და ერთიც საყვარელი პიროვნებაა, ამიტომ, რომაული სამართლის პრინციპით – „მოუსმინეთ მეორე მხარესაც" მინდა მათ მივმართო.

ბატონო ბაადურ, ბატონო თენგიზ, ბატონო რამაზ, ბატონო გიორგი, ბატონო ჯანგირ, ჩემო ქალბატონო თამარ,

სიმართლე უნდა გითხრათ, რომ ჩემი გაოცება გამოიწვია თქვენი კოლექტიური წერილის ამ ფრაზამ: „ეს მოსაზრებები ძირითადად მის სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავდა" და ა. შ. აქვე მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ თქვენს მიერ წერილებში აღნიშნული „ერთ-ერთი დეპუტატი" მე გახლავართ.

მიმაჩნდა, რომ თქვენ მე კარგად მიცნობთ, და იცით, რომ სუბიექტური მოსაზრებებით არასოდეს მიმსჯელია და, გარდა ამისა, ასეთი ფრაზის დაწერა საკმაოდ უხერხული უნდა იყოს იმ გამოსვლაზე, როცა დეპუტატთაგან 17-მა მხარი დამიჭირა, ხოლო 120-მა დეპუტატმა კი თავი შეიკავა გადაწყვეტილების მიღებისაგან. დამეთანხმებით, სუბიექტური მოსაზრებები ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, რომ კანონპროექტი ჩავარდნილიყო. გარდა ამისა, თქვენი ამაო მცდელობა, რომ კანონპროექტის ჩავარდნა ახსნათ კოდორში დატრიალებული მოვლენებით – „იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნია მადლობა განეცხადებინა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძისათვის, რაც, აგრეთვე, ნიშნავდა პარლამენტის იურიდიული და ჯანდაცვის კომიტეტების ღვაწლის დადებით შეფასებას. პარლამენტმა 12 აპრილის გადაწყვეტილება ვერ მიიღო: 17 წინააღმდეგი, 42 მომხრე, რაც შესაძლოა, ნაწილობრივ აიხსნას პარლამენტართა ყურადღების გადატანით კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების მიმართ", – აშკარად გამოხატავს თქვენს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას პარლამენტართა აზროვნების მიმართ. თუ ჩემი მხარდამჭერები მხოლოდ კოდორზე ფიქრობდნენ და ამიტომ სათანადოდ ველარ შეაფასეს ჯანდაცვის მინისტრისა და იურიდიული და ჯანდაცვის კომიტეტების ღვაწლი, თქვენი ლოგიკიდან გამომდინარე, კანონპროექტის მხარდამჭერებს სულაც არ უნაღვლიათ კოდორი და იქ დატრიალებული დრამატული მოვლენები.

მაშინებთ, – „საქართველოს ხელისუფლებამ, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტმა, შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ნარკომანიასთან ბრძოლა ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად გამოაცხადაო", მე კი მოგახსენებთ, რომ არსებული კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას და, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტს გაუძნელდებათ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიმითითებთ, – „ევროპის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს მიერ 2000 წელს სპეციალურად ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მიმოხილვა" წაიკითხეო.

წავიკითხე:

1. **World Health Organization Regional office for Europe. Copenhagen, 1 February, 2000, „Sex, Prugs and Potato Chips"** (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული ოფისის (გნებავთ, ბიუროს) 2000 წლის 1 თებერვლის მიმოხილვა „სექსი, ნარკოტიკები და კარტოფილის ჩიფსები");
2. Европейское региональное бюро Всемирной организации здравохранения. Копенгаген, 2000. „Принципы профилактики ВИЧ-инфекции среди лиц, применяющих наркотики". (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული ბიურო კოპენჰაგენი, 2000. „შიდს-ის ინფექციის პროფილაქტიკის პრინციპები ნარკომანებში").

პირველ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ კარგია ვარჯიში, რომ ოჯახური ურთიერთობების გაუარესება გავლენას ახდენს მოზარდთა ფსიქიკაზე, რომ ტელევიზორის ყურებისას უფრო მეტ მავნე საკვებს მიირთმევენ (მაგალითად, კარტოფილის ჩიფსებს), ვიდრე კომპიუტერული თამაშებისას, რომ გოგონები უფრო ბოსტნეულს ეტანებიან, ხოლო ბიჭები – ტკბილეულსა და სასმელებს, რომ 16 წლის ასაკამდე ახალგაზრდების 70 პროცენტი ეწევა თამბაქოს და 6 პროცენტს გასინჯული აქვს ნარკოტიკი.

აქ მეთადონის სარგებლიანობაზე არაფერი წერია.

მეორე მიმოხილვა ეხება შიდსის მკურნალობის პროფილაქტიკას და საერთოდ არ არის ნახსენები ერთი ქვეყანაც კი (არათუ 15), სადაც „მეთადონის ჩანაცვლების" პროგრამამ ნარკომანია დაძლია ან შეამცირა მაინც. აქ საუბარი მხოლოდ იმაზეა, რომ შიდს-ის დაავადების რისკი ნაკლებია, თუკი ნარკოტიკს ინექციის სახით არ გაიკეთებენ. აღნიშნულია, რომ არსებობს ნარკომანიის მკურნალობის სხვადასხვა ჩანაცვლებითი პროგრამები, როგორიცაა მეთადონით, ბუპრენორფინით, კოდეინით, ჰაშიშით და ა. შ. და, საერთოდ, ამ მიმოხილვაში საუბარია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაზე და არა ნარკომანიაზე და ისიც აღნიშნულია, რომ როცა რომელიმე ქვეყანა გადაწყვეტს რომელიმე „ჩანაცვლებითი პროგრამის" განხორციელებას, აუცილებელია ამ პრობლემისადმი ყოველმხრივი მიდგომა ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ფიზიკურ რეაბილიტაციის პროგრამებთან კომპლექსშიო. მეთადონის განსაკუთრებულ სარგებლიანობაზე აქაც არაფერი წერია.

თქვენ წერთ: „ნაჩვენებია, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ევროპის 15 წამყვან ქვეყანაში მეტადონის და სხვა შესაბამისი ნარკოტიკული საშუალებებით ჩანაცვლებით პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა და ევროპის მსოფლიო ჯანდაცვის ბიურო ყველა სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციას დანერგოს ეს მეთოდი".

არა, ბატონებო, 2000 წლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული ბიუროს მიმოხილვებში ასეთი დასკვნა არ წერია. და თქვენს მიერ, არ ვიცი, საიდან დამოწმებული ფრაზაც, ვფიქრობ, არ გამოხატავს მეთადონის უცილობელ უპირატესობას.

პატივცემულო პროფესორებო, ვწუხვარ, რომ ჩემი წერილის ადრესატი თქვენ ბრძანდებით, მაგრამ შექსპირის ერთი პერსონაჟისა არ იყოს: „ღმერთია მოწამე, მე არ მინდოდა, თქვენ მაიძულეთ".

ნარკომანთა სამკურნალოდ „ჩანაცვლებითი პროგრამა" რომ აუცილებელია, ეს საქვეყნოდ აღიარებულია და, ცხადია, მეც ვემხრობი. მაგრამ გააჩნია, რომელ პროგრამას გამოიყენებთ. მეთადონის შესახებ კი არსებობს მკვეთრად უარყოფითი აზრიც ამ მეთოდის აღრინდელი პოპულარიზატორების მხრიდანაც კი. გარდა ამისა, „მეთადონური პროგრამა" გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მკურნალობის სხვა მეთოდებმა, მათ შორის, „ჩანაცვლებამაც" დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. ეს პროგრამა არის, ასე ვთქვათ, ბოლო ეტაპი. პროგრამის მომხრეები იმასაც აღნიშნავენ, რომ ის უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პირობებში და იგი პაციენტის მიმართ უნდა იყოს მუდმივი. ყოვლად დაუშვებელია და უკუშედეგს იძლევა ამ პროგრამის განხორციელება ექსპერიმენტის ან დროებითი დაფინანსების ხარჯზე.

თქვენგან მოწონებულ კანონპროექტში კი არსადაა მითითებული „ჩანაცვლებითი მკურნალობის" დაფინანსების წყაროები. ხოლო იქ აღნიშნული „სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში და იმედად ასეთი უზარმაზარი და პასუხსაგები სამუშაოს შესრულება ფანტასტიკის სფეროში იჭრება. და ახლა ვიკითხოთ, რატომ უნდა შემოვიდეს საქართველოში მაინცდამაინც საეჭვო მეთადონი? იმიტომ ხომ არა, რომ მეთადონის ლობისტი „სოროსის ფონდია", რომლის მფლობელობაშიც გახლავთ გერმანიაში მეთადონის წარმოების ფარმაცევტული ქარხანა? იმიტომ ხომ არა, რომ ჰუმანურობის ნიღბით მეთადონის მფლობელები ახალ გასაღების ბაზარს ეძიებენ კავკასიაში? რადგან, რაზეც არსებობს მოთხოვნა, მაგრამ მცირეა (სახელმწიფო პროგრამა ბევრს ვერ გასწვდება), იქვე იქმნება კონტრაბანდული ქსელი და, ნუთუ, არ გსმენიათ, რომ ამ კანონპროექტის მომზადების კვალდაკვალ მეთადონი უკვე გაჩნდა საქართველოს ნარკობაზარზე?

ბატონო პროფესორებო, ჩემი მიზანი ისიც იყო, რომ ასეთი მწვავე საკითხი არ გადაეწყვიტა 2-3 დაინტერესებულ პიროვნებას და ყოფილიყო ფართო განსჯის საგანი.

როგორც ჩანს, ეს პროცესი უკვე დაიწყო, თქვენდაუნებურად.

მე მაინც მადლობას მოგახსენებთ.

მაგრამ ვწუხვარ, რომ ჩემთვის პატივსაცემი და ღვაწლმოსილი ადამიანები არ დაუკვირდნენ, რაზე აწერდნენ ხელს, და ვწუხვარ იმასაც, რომ ჯერ არ აღმოფხვრილა საქართველოში კომუნისტური გადმონაშთი კოლექტიური წერისა.

სამწუხაროა, მაგრამ არც გასაკვირია.

ნატო ჩხეიძე,
საქართველოს
პარლამენტის წევრი.

ფეხბურთი

ეს ტაბლოა

მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის წინ ამ ფორუმისა და „ევრო-2004"-ის შესარჩევი ციკლის მონაწილეებმა ერთ-ერთი უკანასკნელი რეპეტიცია გამართეს. გაუწყებთ მთელი რიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების შედეგებს:

პორტუგალია-ბრაზილია 1:1, გერმანია-არგენტინა 0:1, საფრანგეთი-რუსეთი 0:0, ჩრდილოეთ ირლანდია-ესპანეთი 0:5, იტალია-ურუგვაი 1:1, დანია-ისრაელი 3:1, ჰოლანდია-ნიგერია 1:2, ნორვეგია-შვედეთი 0:0, ირლანდია-აშშ 2:1, ინგლისი-პარაგვაი 4:0, ავსტრია-კამერუნი 0:0, იუგოსლავია-ლიტვა 4:1, პოლონეთი-რუმინეთი 1:2, თურქეთი-ჩილე 2:0, საბერძნეთი-ჩეხეთი 0:0, უნგრეთი-ბელარუსი 2:5, ხორვატეთი-ბოსნია 2:0, სამხრეთ აფრიკა-ეკვადორი 0:0, ლატვია-ყაზახეთი 2:1, მაკედონია-ფინეთი 1:0, სლოვენია-ტუნისი 1:0, ბელგია-სლოვაკეთი 1:1, იაპონია-კოსტარიკა 1:1, მალტა-აზერბაიჯანი 1:0.

გუშინ

59-ე ეროვნული ჩემპიონატი

ერთდღიანი შესვენების შემდეგ თბილისის ჭადრაკის სასახლეში განახლდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 59-ე ეროვნული ჩემპიონატი. გაუწყებთ VIII ტურის შედეგებს: ანა მათნაძე – სოფიკო ტერელაძე 0,5:0,5, სოფიკო გვეტაძე – თამარ წერეთელი 1:0, ლელა ჯავახიშვილი – სოფიკო ხუხაშვილი 1:0, ინგა ხურცილავა – ალა ვახანია 1:0, სოფიკო ნიკოლაძე – სოფიკო ტყეშელაშვილი 1:0, მაია ლომინეიშვილი – ნანა ძაგნიძე 0:1, ინგა ჭარხალაშვილი – სალომე მელია 0,5:0,5.

რვა ტურის შემდეგ 6,5 ქულით ტერელაძე ლიდერობს. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს ლომინეიშვილს. 5,5 ქულით მესამე ადგილზე ნიკოლაძემ გადაინაცვლა.

ცინცხალი ამბები

შესაძლოა, შოტლანდიის დედაქალაქის გუნდები „სელტიკი" და „გლაზგო რეინჯერსი" შეუერთდნენ ინგლისის პრემიერ-ლიგას. ფიფას პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ თუ ამ ქვეყნების საფეხბურთო წრეების წარმომადგენლებს ასე სურთ, ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციას საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

სპორტის რედაქცია

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რეფორმა

განცხადება ვაკანსიებზე

გერმანული საკონსულტაციო კომპანია Dornier SystemConsult GmbH. (DSC) აყალიბებს სამუშაო ჯგუფს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს (ტკს) რესტრუქტურიზების პროექტის განსახორციელებლად. პროექტი ფინანსდება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტით (№3129-GE). პროექტის კლიენტია ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი (ტრრც). Dornier SystemConsult GmbH აცხადებს მიღებას რამდენიმე დროებით თანამდებობაზე, პროექტის განხორციელების C ფაზისთვის. სამუშაო ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებული იქნებიან ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე და მჭიდროდ ითანამშრომლებენ ტრრც-სა და სამინისტროს თანამშრომლებთან. სამუშაო ჯგუფის წევრებს მოეთხოვებათ მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევები.

ორგანიზაციული ექსპერტი

დავალებები: ორგანიზაციული ექსპერტი მაღალ დონეზე გაასწორებს პროექტის A და B ფაზებზე მომზადებულ ანგარიშებს. ექსპერტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ანგარიშების გაუმჯობესება ენობრივი თვალსაზრისით და სპეციალური ტერმინების ლექსიკონის შექმნა. სხვა დავალებებია: სამინისტროსა და სატრანსპორტო ადმინისტრაციების თანამშრომლების ატესტაციისა და დაქირავების პროცესში დახმარება, სატრანსპორტო სექტორის სახელმწიფო მართვისა და რეგულირების საკითხებისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრის ჩატარება და „ტრანსპორტის მომხმარებელთა ყოველწლიური გამოკითხვის ანგარიშის" მომზადებაში საერთაშორისო ექსპერტების ხელშეწყობა. ასევე შესაძლებელია სხვა პასუხისმგებლობების დამატება პროექტის განხორციელების პროცესში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: წარმატებულ კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. თანამდებობა ითვალისწინებს ქართულ და ინგლისურ ენებზე წერისა და საუბრის მაღალი დონის უნარ-ჩვევებს და კადრების მართვის მაღალ დონეზე ცოდნას. აუცილებელია სახელმწიფო სექტორის ადმინისტრირების ეროვნული კანონმდებლობის ცოდნა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და/ან საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება დამატებით უპირატესობად ჩაითვლება.

საკადრო რესურსების განვითარების ექსპერტი

დავალებები: საკადრო რესურსების განვითარების ექსპერტი მაღალ დონეზე გაასწორებს პროექტის A და B ფაზებზე მომზადებულ ანგარიშებს. ექსპერტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ანგარიშების გაუმჯობესება ენობრივი თვალსაზრისით და სპეციალური ტერმინების ლექსიკონის შექმნა. სხვა დავალებებია: სამინისტროსა და სატრანსპორტო ადმინისტრაციების თანამშრომლების ატესტაციისა და დაქირავებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შერჩევის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ექსპერტი დახმარებას გაუწევს ტკს-სა და სატრანსპორტო ადმინისტრაციების კადრების შერჩევის კომისიას და მოთხოვნისამებრ მიიღებს მონაწილეობას კადრების ატესტაციისა და დაქირავების პროცესში. სხვა დავალებები შეიძლება დაემატოს პროექტის განხორციელების პროცესში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: წარმატებულ კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. და სამუშაო გამოცდილება საკადრო რესურსების მართვის სხვადასხვა დისციპლინაში, საკადრო რესურსების მართვის პოლიტიკაში, პროცედურებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკაში. კანდიდატი კარგად უნდა იცნობდეს კანონმდებლობას საჯარო სამსახურის შესახებ, წესებსა და მარეგულირებელ აქტებს კადრების დაქირავების ადმინისტრირებაში. უნდა შეეძლოს კადრების დაქირავების სადოკუმენტაციო პაკეტების, ბროშურებისა და ინსტრუქციების მომზადება, გააჩნდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე წერისა და საუბრის მაღალი დონის უნარ-ჩვევები, და სახელმწიფო სექტორის ადმინისტრირების ეროვნული კანონმდებლობის ცოდნა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და/ან საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება დამატებით უპირატესობად ჩაითვლება.

იურიდიული ექსპერტი

დავალებები: იურიდიული ექსპერტი მაღალ დონეზე გაასწორებს პროექტის A და B ფაზებზე მომზადებულ ანგარიშებს. ექსპერტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ანგარიშების გაუმჯობესება ენობრივი თვალსაზრისით და სპეციალური ტერმინების ლექსიკონის შექმნა. ექსპერტი ძირითადად პასუხისმგებელი იქნება ტექნიკური ანგარიში II-ის (ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსა და სატრანსპორტო ადმინისტრაციების დებულებები) გასწორებაზე უცხოური ანალოგებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანდიდატი ინსტიტუციურ საკითხებში იურიდიულ კონსულტაციებს გაუწევს პროექტის სამუშაო ჯგუფსა და საერთაშორისო ექსპერტებს. სხვა დავალებები შეიძლება დაემატოს პროექტის განხორციელების პროცესში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: წარმატებულ კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება იურიდიულ სფეროში, უნდა გააჩნდეს მაღალი კომპეტენცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სფეროში, ასევე გააჩნდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე წერისა და საუბრის მაღალი დონის უნარ-ჩვევები. აგრეთვე, მოეთხოვება სახელმწიფო ორგანიზაციებში ფინანსური ოპერაციების იურიდიული ასპექტების ცოდნა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და/ან საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება დამატებით უპირატესობად.

ლინგვისტი/მთარგმნელი

დავალებები: ლინგვისტი/მთარგმნელი მაღალ დონეზე გაასწორებს პროექტის A და B ფაზებზე მომზადებულ ანგარიშებს. ექსპერტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება ენობრივი თვალსაზრისით და სპეციალური ტერმინების ლექსიკონის შექმნა. ლინგვისტი/მთარგმნელი აგრეთვე პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციული, იურიდიული და საკადრო რესურსების განვითარების ექსპერტების მიერ გასწორებული ანგარიშების ხარისხზე ენობრივი თვალსაზრისით, პროექტის C ფაზაზე მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა ტექნიკური დოკუმენტის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური თარგმნის ხარისხზე, ოფიციალურ შეხვედრებსა და პრეზენტაციებზე პროფესიულ (სინქრონულ) თარგმანზე, პროექტის ჯგუფის ოფიციალურ კორესპონდენციაზე (ქართულ ენაზე) სამინისტროსა და ტრრც-სთან. ლინგვისტი/მთარგმნელი აგრეთვე უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული ყველა სახის თარგმნის მაღალ ხარისხსა და სხვა ანგარიშების მომზადებას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: წარმატებულ კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება, ქართულ და ინგლისურ ენებზე წერისა და საუბრის მაღალი დონის უნარ-ჩვევები და მნიშვნელოვანი სამუშაო გამოცდილება თარგმანისა და ოფიციალური კორესპონდენციის წარმართვაში. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც გააჩნიათ მუშაობის გამოცდილება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების/საკადრო რესურსების განვითარების/ინსტიტუციური მშენებლობის სფეროში. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და/ან საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება დამატებით უპირატესობად.

ხანგრძლივობა და ანაზღაურება: კონტრაქტი ზემოთ ნახსენებ ყველა თანამდებობისთვის დამთავრდება პროექტის დასრულებისას, 2002 წლის დეკემბერში. ანაზღაურება შეთანხმებული იქნება ინდივიდუალურად.

ყველა ზემოთ აღწერილი თანამდებობისთვის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ქართულად მაღალ დონეზე წერის უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა ზემოთ აღწერილი თანამდებობისთვის. პროექტის სამუშაო ჯგუფის ექსპერტებს უნდა გააჩნდეთ ინიციატივის აღების, ანალიტიკური აზროვნების, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები. ასევე მათ უნდა შეეძლოთ მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან თანამშრომლობა და მაღალ დონეზე ფლობდნენ ქართულ და ინგლისურ ენებს, გააჩნდეთ კომპიუტერზე მუშაობის უნარი.

შერჩევის პროცედურა: კანდიდატების შერჩევა მოხდება კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1997 წლის იანვარში მსოფლიო ბანკის მიერ („სახელმძღვანელო: მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება", თავი 5.1-5.3). შერჩევის პროცედურა ემყარება დაინტერესებული კანდიდატების (ზემოთაღწერილი ყველა თანამდებობისათვის განსაზღვრული) საკვალიფიკაციო მოთხოვნების შედარებას.

საბუთები: დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი მონაცემები (CV და დაინტერესების წერილი) ინგლისურ ენაზე ტრრც-ს ოფისის ელ. ფოსტის მისამართზე: trrc@wanex.net

საბოლოო ვადაა 2002 წლის 30 აპრილი. გასაუბრებაზე მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული კანდიდატები.

დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ | №50 | 19 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 2002 ᲬᲔᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი წლის გადასახედიდან

ᲚᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ — ᲚᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲪ!

მკითხველი — ჩვენი ზუსტი სასწორი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „საქართველოს რესპუბლიკა", გადაჭარბებულად ნუ ჩაგვითვლით, და დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებს შორის პროფესიონალიზმით, მართალი სიტყვით, აკადემიური სტილით გამორჩეული გამოცემაა. ამასთან, მკითხველთა შეფასებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ხიბლი და მრავალფეროვნება მასში ყოველთვიურ ჩანართებს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", „ხიდი", „აღმშენებელი", „დედოზარი", „სახიობა" და სხვა უჭირავს.

ჩანართების არსებობა გაზეთში გვიჩვენებს ღარგობრივი რედაქციების დამოკიდებულებას ქვეყნის პრობლემების მიმართ გარდამავალ პერიოდში.

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ „დედოზარის" გამოცემის იდეა „საქართველოს რესპუბლიკის" სოფლის მეურნეობისა და ხურსათის რედაქციაში დაიბადა. მას წლეულს ხუთი წელიწადი შეუსრულდა!

„დედოზარი" ერთ-ერთი პირველთაგანია გაზეთში არსებულ ჩანართებს შორის. გვახსოვს, ამ ხუთი წლის წინათ როგორ შევიტანეთ პროექტი გაზეთის მთავარ რედაქტორთან, ბატონ არმაზ სანებლიძესთან, და როგორ დაგვეთანხმდა იგი, დღის სინათლეზე გამოგვეტანა, ერთ მთლიანობაში მოგვექცია ქართული სოფლის დღევანდელი პრობლემები, მეურნე კაცის სიხარული და ტკივილი...

ჩვენს მიერ ხელთქმნილის სახელწოდებაც იმაზე მიგვანიშნებს, თუ რაოდენ დიდია ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართული სოფლის როლი. რომ თუკი სოფელი ლონიერია, ლონიერია ქვეყანაც. ამიტომ სოფელი დედოზარია, ღედაბოძია და ხერხემალი ჩვენი არსებობისა. მით უფრო, დემოკრატიის გზაზე ახლად ფეხშემდგარი საქართველოსთვის. აღსანიშნავია, რომ თავიდან რამდენიმე სახელწოდება შევარჩიეთ, მაგრამ ბოლოს ჩანართის რედაქტორის მიერ დასახელებულმა „დედოზარმა" ყველა გადაწონა...

ჩვენ, როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად ვმოღვაწეობთ გაზეთში, და როგორც „დედოზარის" შემოქმედებითი ჯგუფი, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებთ, გვეამაყება, განვლილი წლების განმავლობაში, და ახლაც, ერთგულად რომ ვდგავართ ახალი, თავისუფალი საქართველოს მშენებლობის სათავეებთან. ვცდილობთ, ფრთხილად, რეალურად გავაშუქოთ და მივიტანოთ მკითხველამდე სოფლის მეურნეობის ყველა შუქ-ჩრდილი, პრობლემა და სატკივარი. მით უფრო, რომ სოფლის პრობლემებზე მზრუნველი ვერც ერთი გამოცემა ამჟამად მყარად ვერ დგას ფეხზე მატერიალური ხელმოკლეობის გამო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთიორ სერიოზულ ჟურნალ-გაზეთს, რომლებიც ასევე არასტაბილურად გამოდიან დღის სინათლეზე.

ამიტომაც ვანიჭებთ უპირატესობას ჩვენს „დედოზარს".

რამდენი რამ ვთქვით, რამდენი – კიდევ დაგვრჩა სათქმელი.

არადა, პრობლემათა ზღვაში ცურავს ჩვენებური გლეხი კაცი, ახლა ხან ფერმერს, ხანაც მეწარმეს რომ ვეძახით.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რეფორმებმა ჯერჯერობით დიდი სიკეთე ვერ მოუტანა ილაჯგაწყვეტილ მიწის მუშას. გული დაგწყდება, რომ დღეს ისეა გალატაკებული ქართული სოფელი, საუკუნეების მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა და რაც იყო, ისიც დაკარგულია. თუმცა, უდიდესი მნიშვნელობისაა მიწის რეფორმა, საკრედიტო კავშირების შექმნა, ტასისის და მსოფლიო ბანკის პროექტები, რომელთაც, ეკონომიკურის გარდა, რაღა თქმა უნდა, დიდი პოლიტიკური დატვირთვაც აქვთ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეზე გარდამავალი კიბის საფეხურებს შეადგენენ...

„დედოზარი" ფეხდაფეხ მიჰყვება ამ რეფორმებს, არ დარჩენილა საქართველოს სოფლის მეურნეობაში არც ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტი, რომელშიც ღრმად არ ჩაგვეხედოს და მკითხველამდე ისე არ მიგვეტანოს იქ არსებული პრობლემა, სიკეთე და შედეგი.

მიწის რეფორმას უამრავი სტატია მივუძღვენით. მკითხველს შევახვედრეთ რეფორმის ხელმძღვანელებიც და მისით კმაყოფილი გლეხიც, სხვათა შორის, უკმაყოფილონიც=ასეთნიც=არიან.

ᲘᲮ. ᲛᲔ-6 ᲒᲕ.



არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და ულონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო" და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან კი — ყველა ტყუის.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ

დღევანდელი ერთფეროვნებიდან — ოდინდელ მრავალფეროვნებამდე

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ რომ უმჯობესია ყველაფერში ერთფეროვნებასთან შედარებით, უდავოა, არავინ ჭკუათმყოფელი არ უარყოფს ამას. საქართველო, როგორც ქვეყანა, როგორც დედამიწის ნაწილი, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანური რესურსებით და ამ მრავალფეროვნების ერთ-ერთი გამოხატულებაა ჩვენი სოფლის მეურნეობა, მისი დარგები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეები და ცხოველები.

ადამიანი, თავისი ცხოვრების მოწყობის შემოქმედების წესზე გადავიდა, ბუნებიდან აღებული მასალის გამოყენებით ქმნიდა საკუთარ ნაირფეროვნებას. ასე შეიქმნა მცენარეების და ცხოველების მრავალრიცხოვანი ჯიშები და ფორმები. მართლაც, საკვირველია ამ პატარა (თუმცა, ერთ დროს არც ისე პატარა) საქართველოში 500 მარტო ყურძნის ჯიში იყო. სხვა რამ, თუ არა ქართველი გლეხის მიწისადმი სიყვარულმა და დაუღალავმა შრომამ შექმნა ყურძნის, ხორბლის, სხვადასხვა პარკოსანი მცენარის, ხეხილის უამრავი საუკეთესო ჯიში, შეგუებული ასევე მრავალფეროვან საქართველოს ბუნებასთან. საკვირველ ცნობას ვხვდებით ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეორე წიგნში „...აქ (რაჭაში) არსებული 24 ჯიშიდან 8 სწორედ ამ ფერისაა (თეთრი)" ე. ი. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მხოლოდ რაჭაში მუხუდოს 24 ჯიში არსებობდა. ამჟამად იქ მუხუდოს სახსენებელიც არაა. იქვეა აღნიშნული, რომ იმავე რაჭაში ცულისპირას 30 ჯიში ყოფილა, აქედან, 2 მსხვილმარცვლიანი, დანარჩენი წვრილი.

თურმე ძველად, ცნობილი რაჭული ლობიანების შიგთავსი ცულისპირისაგან მზადდებოდა. ამჟამად, ცულისპირას ამბროლაურის რაიონში თუ წააწყდებით იშვიათად.

ასევე მრავალრიცხოვანი ჯიშებით ხასიათდებოდა მარცვლოვნები – ქერი, ჭვავი, ფეტვი, ღომი, პარკოსნები – ცერცვი, ოსპი, ბარდა, უგრეხელი ძაძა და სხვა.

თანამედროვე საქართველოში მარცვლოვანი მცენარეებიდან უმთავრესად ითესება შემოტანილი სიმინდი. უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვა ადგილობრივი მარცვლეული – ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი, ღომი, ხოლო პარკოსნებიდან ასევე შემოტანილი და ამერიკული წარმოშობის ლობიო. სხვა პარკოსნებიდან იშვიათია – ცერცვი,

ᲘᲮ. ᲛᲔ-6 ᲒᲕ.

ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲔᲡᲘ

ალაზნის პირსა მოსულა წითელი სატაცურია...



ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲔᲕᲓᲘᲗ, ამ დღეებში თბილისის ზოგიერთ ბაზარში დახლებზე გამოჩნდა წითელი კი არა, როგორც სიმღერაშია, არამედ, უჩვეულოდ მოთეთრო და უფრო დოყ-დოყი სატაცური, ვიდრე იგი ბუნებაში ველური სახით გვხვდება.

მათ საერთო მხოლოდ ის აქვთ, რომ ორივე მრავალწლიანი მცენარეა და საკრეფად ერთსა და იმავე დროს შემოდის.

მივაკვლიეთ სატაცურის მწარმოებელ შპს „ჯოდაის" თავმჯდომარეს ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲝᲮᲐᲫᲔᲡ და იგი რედაქციაში მოვიწვიეთ. სანამ მას პირველ შეკითხვას მივცემდით, გაცნობებთ, რომ ევროპაში, თურმე, სატაცურის სამასამდე სახეობაა გავრცელებული. ყოფილ საბჭოთა კავშირში 30-ს ითვლიან, საქართველოში კი მხოლოდ – სამს. მას სამკურნალოდაც იყენებენ და საკვებადაც. ზოგი სახეობა კი დეკორატიულიც ყოფილა.

ᲘᲮ. ᲛᲔ-8 ᲒᲕ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ"!

სიმდიდრე

(პირველი გვერდიდან)

დღევანდელი ერთფეროვნებიდან — ოდინდელ მრავალფეროვნებამდე

ბარდა, ოსპი, ძაძა. ამრიგად, ძირითადი მარცვლოვანი მცენარეა სიმინდი, შემდეგ — ხორბალი, პარკოსნებიდან კი ლობიო. ასეთია ქართველი გლეხის საჭმლის რაციონი. ამ დროს სრულიად შესაძლებელია მისი გამდიდრება სხვადასხვა კულტურების მოყვანით. ნამეტი გაიყიდება და წაადგება გლეხის მწირ ეკონომიკას. მრავალკულტურიანობა მეურნეობაში გარანტირებული მოსავლის საწინდარია, რადგან თუკი ერთი რომელიმე კულტურისათვის არახელსაყრელი ამინდი დაიჭირა, მეორე კულტურა აანაზღაურებს ამ დანაკარგს, რაც ამინდის უკუღმართობამ გამოიწვია. თუნდაც; უკანასკნელი ორი წელი ამის ნათელი მაგალითია. — რა დღეში ჩააგდო გვალვამ სოფლის მოსახლეობა. მკვეთრად დაეცა ხორბლის, ამ შედარებით გვალვაგამძლე კულტურის მოსავალი, ხოლო სიმინდი და ლობიო თვით დასავლეთ საქართველოში არათუ განახევრდა, არამედ ზოგან საერთოდ არ იხეირა. მაშინ, როდესაც არსებობს უფრო მეტად გვალვაგამძლე მცენარეები, მარცვლოვნებიდან — ფეტვი, ღომი. პარკოსნებიდან — მუხუდო, ოსპი. თუ კი ეს კულტურებიც ექნებოდათ მეურნეებს თავის ნათესებში ნამდვილად ნაკლები ზარალი მიადგებოდათ.

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი კულტურების არსებობისა და მათი ტრადიციული თესვა-მოყვანის გამოცდილებისა, ქართველი მეურნე თითქმის არ იყენებს ამ შესაძლებლობას, თესავს იმას, რასაც შეაჩვიეს, მიუხედავად იმისა, რომ სრულფასოვან მოსავალს ვერ ღებულობს. გლეხს ამაში ვერც გაამტყუნებ. არავინაა მისი პატრონი, მრჩეველი, დამხმარე. ის თითოოროლა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ მიმართულებით მოქმედებენ, ვერ აუდიან მთელ კონტინგენტს.

ამის მაგალითია, ჩვენი ორგანიზაცია, აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოება „დიკა“. ჩვენი სამწლიანი ძალისხმევის შედეგად, მხოლოდ ასიოდე გლეხთან დავამყარეთ ურთიერთობა, აქედან 10-15 თუ გააგრძელებს ამ საქმიანობას დამოუკიდებლად.

იმისათვის, რომ გლეხმა გული შემოიბრუნოს ძველი მრავალფეროვანი ადგილობრივი კულტურების და ჯიშების მიმართ, საჭიროა დახმარება. პირველ რიგში, სწავლების, რჩევების სახით. ამისათვის გამოდგება სოფლის მეურნეობის მართვის ფორმალური ნაწილი, შემდეგ დახმარება ტექნიკით და ბოლოს ბაზრის გარანტირებული სეგმენტის შექმნა. ჩვენ ვიცით, რომ ეწყობა კურსები ფერმერთა ჩამოყალიბების მიზნით, ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა! მაგრამ დღესდღეობით უფრო მეტი ყურადღება ესაჭიროება წვრილ გლეხურ მეურნეობას, რადგან საქართველოში ჯერჯერობით და, ვფიქრობთ, კიდევ კარგა ხნის მანძილზე მაინც ასეთი მეურნეობები იქნება უმთავრესად. წვრილ მეურნეობებს თავისი შესაფერისი მეთოდური მიდგომა ესაჭიროება. ასეთ მეურნეობებს მცირე სიმძლავრისა და გაბარიტების მქონე ტექნიკა გამოადგება. ასევე საჭიროა მათთვის შეღავათიანი — დაბალპროცენტიანი სესხები, ყოველივე ეს უნდა დამთავრდეს ბაზრის, შესყიდვის პუნქტების ორგანიზებით, რათა გლეხმა ადგილზე ჩააბაროს მრავალფეროვანი პროდუქცია. საერთოდ ის მეურნე, რომელიც მრავალფეროვან, ადგილობრივი კულტურებისა და ჯიშების პროდუქციას აწარმოებს, უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადებისაგან. ასეთი უნდა იყოს ხელისუფლების, სახელმწიფოს პოზიცია, რომელიც სრულიად შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებებს ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გამოყენების შესახებ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ამ მიმართულებით, მათ როლს გლეხობისადმი მხარდაჭერის თვალსაზრისით.. სწორედ ამიტომ მივმართავთ მათ: მოდით, ნუ დავტოვებთ გლეხობას თავის პრობლემებთან მარტოდმარტოს. სამაგიეროდ, შედეგით ყველანი მოგებული დავრჩებით.

ტარიელ ბერიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების გამგე, აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოება „დიკას“ კოორდინატორი.

ღონიერია სოფელი — ღონიერია ქვეყანაც!

მკითხველი — ჩვენი ზუსტი სასწორი

(მეხუთე გვერდიდან)

საკრედიტო კავშირების შექმნით რიგმა სოფლებმა ამოისუნთქეს — სესხულობდნენ ამ კავშირებიდან თანხას მეურნეობის საჭიროებისათვის, მერე ზოგი უკან ვეღარ აბრუნებდა ვალს... შედეგად, თუ არ გამოვრიცხავთ ერთი-ორს, ყველა სოფელში დაიშალა ეს კავშირები, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ რეფორმატორები. მიზეზი აქაც უამრავია. უპირველესი კი, პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულება და ზოგიერთი კავშირის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობაა, პირადი გამორჩენით დაინტერესებაა, ანუ კორუფცია, რომელმაც ვამპირივით გამოსწოვა მსოფლიო ბანკის ის თანხები, გლეხამდე რომ უნდა მისულიყო მისი გაჭირვების შემწედ. თუმცა, მადლიერების გრძნობით ვწერდით იმ კეთილი მეზობლების შესახებ, რომლებიც გაჭირვებაში ჩავარდნილებს ხელს გვიწვდიდნენ და საჩუქრად გვიგზავნიდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, დიზელის საწვავს, მარცვლეულის თესლს, სურსათს...

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის სიახლეებთან, უცხოურ დახმარებებსა და პროექტებთან ერთად წუთითაც არ დაგვიწყებია ჩვენი სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული წამყვანი დარგები, როგორებიცაა მევენახეობა, მეღვინეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა და სხვა.

მხვნელ-მთესველს გვერდში ვიდექით მიწაში თესლის ჩაგდებიდან ალოობამდე. მკითხველამდე მიგვქონდა ქართველ სელექციონერთა მიღწევები ახალი ჰიბრიდული ჯიშების შესაქმნელად, მეთევზეობის სატბორე მეურნეობების, ქართველ მეფუტკრეთა და მეცხოველეთა პრობლემების შესახებ. წინა პლანზე წამოვწიეთ მივიწყებული, ლამის გადაგვარებამდე მისული „ნატრომშვილის და ბაძოშვილის“ მსოფლიოში სახელგანთქმული, ნაზმატყლიანი ცხვარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ

ამ პრობლემას გამოხმაურებოდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემია...

ვიბრძოდით ქართული აბრეშუმის გადასარჩენად. ჩვენი გამოსვლების შემდეგ აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა ეს საკითხი და შესაბამისი წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა და სათანადო დოკუმენტიც მიიღო დარგის ასაღორძინებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი ვერც ამ დოკუმენტმა გამოიღო. თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, თუმცა, იმაში, რომ ამჟამად ისევ მუშაობს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სს „საქაბრეშუმი“, გარკვეული წვლილი „დედოზარისაც“ მიუძღვის.

უყურადღებოდ არ დაგვრჩენია საქართველოს არც ერთი რეგიონი. ვრცელი მასალები მივუძღვენით აჭარაში თხილის პლანტაციების გაშენებას, გონიოელ მეციტრუსეებს, მესხეთ-ჯავახეთში, გურიაში, რაჭაში, სამეგრელოში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, აღნიშნული რეგიონებიდან მოვიზიდეთ შტატგარეშე კორესპონდენტები. ვაქვეყნებდით მკითხველთა გამოხმაურებებს და წერილებს. არაერთი მნიშვნელოვანი სტატია მივუძღვენით მათის პრობლემას, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

იხ. მე-7 გვ.

გამოიცა

საქვეყნო „კვალი“ გაგევლოთ...

სოფლის მეურნეობის უმდიდრესი პოტენციური შესაძლებლობის რეალიზაცია ათასობით მეცნიერი — აგრარიკოსის, ეკონომისტის, ფერმერისა და გლეხის ძალისხმევას მოითხოვს. მათთვის სანდო ინფორმაციის დროულად მიწოდებას დარგის ერთადერთი ტრადიციული, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „კვალი“ ემსახურება, რომელსაც წელს დაარსების საიუბილეო თარიღი — 80 წელი უსრულდება.

ფინანსური დეფიციტის გამო სამწუხაროდ, შარშან ჟურნალის არც ერთი ნომერი არ გამოსულა. წლევანდელი, გაერთიანებული 1-2 ნომერი კი სულ ახლახან მიიღო მკითხველმა. ნომრის სპონსორია სს **„თელავის ღვინის მარანი“**.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების კვალდაკვალ, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო აგრარული პოლიტიკის განმახორციელებელ სტრუქტურად გარდაიქმნება, რომლის მიზანიც საკანონმდებლო ინიციატივების, ნორმატიული აქტების შექმნა იქნება, რაც საბოლოო ჯამში ფერმერული მეურნეობების, მცირე საწარმოების და სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების სრულყოფას შეუწყობს ხელს. დაინტერესებულ მკითხველს თავის სამსახურს სთავაზობს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მაია ბიგვავა.**

თელავის ღვინის მარნის დღევანდელ საქმიანობაზე, მის წარმატებებზე ჟურნალი მკითხველს სთავაზობს კვების მრეწველობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ვაჟა მამაიაშვილის** წერილებს „ჩვენი წინაპრები ვაზს ფერდობებზე აშენებდნენ“ და „ყველაფერი სუფთა, მშვენიერი და ამაღლებული ვაზშია გაცხადებული“.

ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბების, ამოქმედების და განვითარების შესახებ **ლერი გოგინეიშვილისა** და **მერაბ ჯანელიძის** სტატია „ფერმერთა ინფორმაციული მომსახურების უზრუნველსაყოფად“, რაც მკითხველს უსათუოდ დააინტერესებს.

„პირადად, ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ კანონი ყველასათვის კანონობდეს, მოისპოს დაუსჯელობის სინდრომი, ეფექტიანად განხორციელდეს ანტიკორუფციული რეკომენდაციები, რომლებსაც ანტიკორუფციული პროგრამის პროექტი მოიცავს. მჯერა ამ რეკომენდაციების დროული და კომპლექსური განხორციელება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში კორუფციის ხელშემწყობი გარემოს აღმოფხვრას, რაც გარანტი იქნება ამ უმთავრესი ცხოვრებისა, რომლის მოლოდინშიც გვერიანად დაველადა“ — წერს სტატიის დასასრულში ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **რუსუდან ლორთქიფანიძე.**

„კვალის“ შემოქმედებითი კოლექტივი დავალებულია პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის **ბექან გონაშვილისაგან** ჟურნალის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. ამ ერთი წლის მანძილზე ჟურნალმა ბევრი რამ გადაიტანა, მაგრამ ღვთისა და გულისხმიერი ადამიანების წყალობით ჟურნალი „კვალი“ კვლავ არსებობს, წერს **მანანა ვახტანგაძე**, რომლის რესპონდენტიც **ბექან გონაშვილია**. როგორც ინტერვიუში ირკვევა, ბიუჯეტში წელს ფერმერთა საინფორმაციო უზრუნველსაყოფად 150 ათასი ლარია გამოყოფილი. აღნიშნულ პროგრამაში, რესპონდენტის აზრით, აუცილებლად უნდა ჩაერთოს ჟურნალი „კვალიც“, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე აშუქებს სოფლად აგრარული სექტორის ეკონომიკის, ბიზნესის საკითხებს.

კვალი
KVALI
იანვარი-თებერვალი
JANUARY-FEBRUARY
N 1-2
2002
ნომრის სპონსორია
სს „თელავის ღვინის მარანი“

საქართველოს რეგიონებიდან კახეთი განსაკუთრებით გამორჩეული მხარეა, თავისი განუმეორებელი ბუნებითა და აგრარულ-ეკონომიკური პოტენციალით. ათწლიანმა კრიზისმა საგრძნობლად დააშრო ამ სიმდიდრის წყარო, რაც ადრე უხვად ასაზრდოებდა აქაურ მოსახლეობას. აღნიშნულ პრობლემებზე ჟურნალი აქვეყნებს **დავით მაისურაძის** ინტერვიუს პრეზიდენტის რწმუნებულთან კახეთის მხარეში **ბიძინა სონღულაშვილთან.**

გარდა ამ გამორჩეული მასალებისა, სოფლის მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საგულისხმო ინფორმაციას წააწყდება ჟურნალ „კვალში“, რომლის გამოცემასაც, ვიმედოვნებთ, ფინანსური გაჭირვება ხელს აღარ შეუშლის.

კოლეგებს ჩვენც ვულოცავთ არსებობის 80 წლისთავს.

ნაზი იმნაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 93, პარასკევი, 19 აპრილი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროები

საქართველოში უკვდავების წყარონი დიან

ოდითგან ვიცით, რომ საქართველოს მთების მიუვალ ადგილებში უკვდავების წყარონი დიან. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ფრაგმენტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, სადაც მომაკვდავი აბესალომი განსაკურნავად უკვდავების წყაროზე წყლის მოსატანად გზავნის მურმანს. ქართულ მითოლოგიაში ბევრი სხვა თქმულებაცაა ამ წყაროებზე, საიდანაც ჩანს, რომ მათი მოპოვება მაშინ არც ისე ადვილი იყო.

ბუნებრივი რესურსებით ესოდენ მდიდარი საქართველოსაგან განსხვავებით, დღეისათვის მსოფლიოში სასმელი წყლის მწვავე დეფიციტია. საბედნიეროდ, წყლის რაოდენობის თვალსაზრისით, ერთ სულ მოსახლეზე ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა. თანდათან, ცივილური ქვეყნები უარს ამბობენ ონკანის წყალზე, სამაგიეროდ, მოთხოვნილება იზრდება ჩამოსხმულ სამკურნალო წყლებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაითვალისწინა რა ამ დარგის პერსპექტივა, მისი ბრძანებულებით, 1997 წლიდან შეიქმნა მინერალური წყლების მინისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაცია, რომელიც სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურაა, მასში შემავალი ქვედარგები კი ახლა გარკვეულ აღმასვლას განიცდიან. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტის „საქმინხილწყლის“ თავმჯდომარე **ზაურ ჩანჩიბაძე** გვესაუბრება:

– ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციაა წყლების სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიების მინიჭება, ლიცენზიების გაცემა, შეჩერება და გაუქმება, ასევე კონტროლი, პერიოდული ანალიზი და რეაგირება დარღვევაზე და ამასთან, სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის საერთაშორისო დახმარების კოორდინაციაც...

ლო დროს სასმელი წყლის დაბინძურების გამო, მათზე მოთხოვნილება გაიზარდა ქობულეთში, ქუთაისსა და ბათუმში.

პოპულარიზაციის მიზნით, მუშაობაა გასაწევი წყლით დაინტერესებულ ქვეყნებთან და ინვესტორებთან. აუცილებელია გამოფენების მოწყობა პროპაგანდის მიზნით. ჩვენი პრობლემის მოსაგვარებლად საქართვე-

ჩატარდა გარკვეული სამუშაოები ახალი სახეობის პროდუქციის და პროგრესული ტექნოლოგიების ათვისების მიზნით. მნიშვნელოვნად გაიზარდა დარგის პროდუქციის ასორტიმენტი. 1995-96 წლებში მხოლოდ „ბორჯომის“ მინერალური წყალი ჩამოისხმებოდა, ახლა კი მათი რაოდენობა ცხრამეტამდე გაიზარდა. ესენია „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“, „ელიტა“ (კავკასიის მთის წყაროები), „წაღვერი“, „ლეღვა“, „ბორჯომი – მსუბუქი“, „ბორჯომის – წყაროები“, „გევა“, „ირიდა“, „ზუკა“, „საამო“, „დმანისი“, „მიტარბი“, „ბაგიათა“, „კოკოტაური“, „ვაქას წყარო“, „სქური“.

ორმოც მეწარმეს დაეხმარნენ უალკოჰოლო გაზიანი სასმელების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების დამუშავებაში.

დღეისათვის არსებული საწარმოო სიმძლავრეები საშუალებას გვაძლევს გამოვუშვათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია – მილიარდი ბოთლი (0,5 ლ) მინერალური წყლები, 12 მილიონი ბოთლი ლუდი, 14 მილიონი ბოთლი უალკოჰოლო სასმელი.

– როგორია თქვენი პროდუქციის ძირითადი ბაზარი?

– მართალია, ქართულ წყლებზე ჯერ კიდევ დიდია მოთხოვნილება ტრადიციულ ბაზარზე, მაგრამ მისი გარკვეული სეგმენტი, უკვე დაიკავა უცხოურმა წყლებმა, უპირატესობის მოსაპოვებლად გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი. ბაზრის ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მინერალური წყლების პროდუქცია ძირითადად გარე ბაზარზეა ორიენტირებული, ხოლო ლუდი და უალკოჰოლო სასმელები – შიდა ბაზარზე. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე; რაც დღეისათვის საქართველოში შექმნილი საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისის პირობებში მეტად დაბალია.

გვყავს პარტნიორი ქვეყნები, რომლებზეც ექსპორტის 79,56 პროცენტი მოდის, ესენია უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და ისრაელი. შარშან ჩვენთან წარმოებული მტკნარი სასმელი წყლის საერთო რაოდენობიდან (9892 ათასი 0,5 ლ. ბოთლი) საქართველოში, მხოლოდ რეალიზებულია 1600 ათასი ბოთლი. ბოლოს პრეზიდენტმა მიმართა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს და შეიძლება მივიღოთ ფინანსური დახმარება ექსპორტის განვითარებისათვის.

აშშ „ფაიზის“ მიერ წარმოებულმა წყლის „კავკასიის მთის წყაროები – ელიტის“ სასაქონლო პროდუქციამ 1999 წელს მოიპოვა საერთაშორისო სერტიფიკატი და აშშ-ის შვიდ შტატში პროდუქციის რეალიზაციის ნებართვა, რაც უკვე მსოფლიოს ნებისმიერ წყლის ბაზარზე შესვლის უფლებას გვაძლევს.

– რა თვისებრივი განსხვავებაა ონკანის წყალსა და მტკნარ სასმელ წყალს შორის?

– ონკანის წყლისაგან განსხვავებით, წყაროს წყლის დამუშავებისას არ იცვლება წყლის ბუნებრივი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შემადგენლობა. წყლის მიღებისა და ტრანსპორტირებისათვის არ გამოიყენება ქალაქის კომუნიკაციები, არ ხდება მისი ქლორირება, მთელ ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებულია უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ტექნოლოგიური დანადგარები და მილსადენები. გარდა ამისა, დასაფასოებელი წყალი იფილტრება, ხდება მისი ბაქტერიოციდული დამუშავება ან გაუვნებელყოფა ოზონით. ასევე ბაქტერიოციდულად მუშავდება ჭურჭელი.

თბილისში ხდება მიკროელემენტებით ხელოვნურად გამდიდრებული სუფრის წყლის „ისიდას“ ჩამოსხმა; იგი ხარისხიანი, ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა და შეიცავს ადამიანისათვის საჭირო მინერალებს: იოდს, ფტორს, კალციუმს, კალიუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, თუთიასა და მანგანუმს.

დაბალმინერალიზებულ (მტკნარ) წყალს ასხამენ შპს „გევა“, „ბორჯომის“ №1 ჩამოსასხმელი ქარხანა და შპს „კარიბჭე“, რომლებიც პროდუქციას ბორჯომის ხეობიდან, ცაგერის რაიონიდან და ნატახტარიდან მოიპოვებენ.

– რა სიახლეები დაინერგა ამ დარგში და რას იტყვით სამომავლო გეგმებზე?

– ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები ინერგება „ბორჯომის“ №1 ჩამოსასხმელ ქარხანაში და შპს „ბორჯომი-პროექტის“ საწარმოში. აქ დამონტაჟდა პოლონურ-რუსული ახალი წარმოების კომპლექსური ჩამოსასხმელი ხაზი, ასევე შესრულდა სამონტაჟო სამუშაოები „ცივი ჩაის“, „ნაბეღლავის“, „ფერიხეს“, „ბორჯომის“, „ყაზბეგის“ საამქროებში. გაფართოვდა სამაცივრო-საკომპრესორო განყოფილებები და სხვა.

მეოცე საუკუნეში წყალზე მოთხოვნილება მსოფლიო მასშტაბით ცხრაჯერ გაიზარდა, რაც სავარაუდოდ, საუკუნის შუა წლებამდე გაორმაგდება. არსებული პროგნოზის მიხედვით, სასმელ წყალზე კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, აფრიკის მთელ კონტინენტზე და დსთ-ს ევროპული ნაწილის სამხრეთში. მსოფლიოში 2,4 მილიონი ბავშვი იღუპება ყოველწლიურად წყლისგან შეძენილი დაავადებებით.

ამ დროს ანგარიშგასაწევია საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, არსებული სანაოსნო ქსელი და მისი სიახლოვე აზიის, აფრიკის, არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიან, მაგრამ ამ ქვეყნებში ჩვენი პროდუქციის გატანა საკმაოდ ძნელია, ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ წყლის დონორი ქვეყანა გავხდეთ.

უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია, რომ შპს „პროგრესი–2000“-ის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვილი ეს ქარხანა ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში მტკნარ სასმელ წყალს „რაჭის წყაროებს“ ჩამოამსხამს. გეგმაში გვაქვს „თიანეთის წყაროების“ და სამკურნალო წყლის „ლუგელას“ ათვისებაც.

– რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს ამ დარგში ბრძოლა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ?

– არსებული კანონმდებლობით ძალიან ძნელია ფალსიფიკაციის და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა. ბაზარი სავსეა ასეთი პროდუქციით. ახლა იქმნება ახალი საკანონმდებლო ბაზა, შემუშავებული გვაქვს პროგრამაც, რაც სამომავლოდ, ვფიქრობ სიტუაციას გამოასწორებს. თუ ამ პრობლემას საბოლოოდ მოვაგვარებთ, იმედია ეს დარგი თავის სიტყვას იტყვის საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის საქმეში.

მართლაც, ბატონ ზაურთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ წყაროს წყლის მოპოვება და მისი მომხმარებლამდე მიტანა არცთუ ისე იოლი საქმე ყოფილა. ადრე მის გამოხსნას, მის სათავეებამდე მისვლას მხოლოდ მითიური გმირები ახერხებდნენ. ამიტომაც მათ გაუტოლდება იმ მეწარმის სახელი, ვინც შეძლებს დარგის თანდათანობით განვითარებასა და წყლის მოპოვებას, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, იმედია ჩვენი მეწარმენი თვით უკვდავების წყაროსაც კი მიაგნებენ, ჩამოასხამენ და ქართული მთისა და კლდეების ნაყურს მწყურვალთ შეასმევენ...

ლელა მანაგლიშვილი.

ღონიერია სოფელი — ღონიერია ქვეყანაც!

მკითხველი — ჩვენი ზუსტი სასწორი

(მეექვსე გვერდიდან)



მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „დედოზარი“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოველ კათედრასთან, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ასევე მაღალ დონეზე გავაშუქეთ უნივერსიტეტის 70 წლისთავის იუბილეც. სწორედ იუბილის დროს დაიბადა ახალი რუბრიკა „გზა განვლილი და გასავლელი“, რომელსაც უძღვებოდა აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

ბოლო წლებში სოფლად მოიშალა და დაინგრა ძველი სარწყავი არხები. არადა, წყალზეა დამოკიდებული მოსავალი. წყალი – სიცოცხლეა! ჩანართის რედაქტორმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრთან, პარლამენტარებთან ერთად მოიარა და დაათვალიერა სალთვის-ტირიფონის სარწყავი სისტემა, ზონკარის სათავე-ნაგებობა ცხინვალის რეგიონში, კონფლიქტის ზონაში, და შესაბამისი რეპორტაჟები მიუძღვნა ამ წყალსაცავის აღდგენას.

არც საქართველოს უნიკალური, დღეს გაჩეხილ-გავერანებული ტყის პრობლემები დაგვრჩენია მხედველობის მიღმა. ბევრს ვწერდით მცენარეთა პრობლემებზე, მათ დაცვაზე. ეკოლოგია ხომ „დედოზარის“ პრიორიტეტული თემაა.

ჩანართიდან მკითხველი, ასევე, ეცნობოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სოფლის მეურნეობაში შექმნილ პრობლემებს.

სამწუხაროა, რომ ამჟამად სოფლად ტექნიკის ნაკლებობაა. მექანიზაციის განვითარების გარეშე კი ფერმერი ვერ იარსებებს. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს დამყარებული საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაბამის დარგობრივ აკადემიებთან, მექანიზატორთა კავშირთან. ვბეჭდავთ სპეციალისტთა, მეცნიერთა მოსაზრებებს: ქმედითობისათვის წერილებს ხშირად ვაგზავნით შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში. ჩვენ ჩვენსას ვცდილობთ, თუმცა, ხელშესახები შედეგები აქაც ნაკლებად გვაქვს.

მისახედია სოფლის ახალგაზრდობა. უმუშევრობა, დროის ფლანგვა უარყოფით შედეგებს გამოიღებს მომავალში. ჩვენი დაკვირვებით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ახალგაზრდები ოჯახის შექმნას ერიდებიან, რაც დემოგრაფიული კატასტროფის ტოლფასია... თითქმის არც ერთ სოფელში არ მუშაობს კულტურის კერა. კლუბები გამოკეტილია. ეს მიზეზებია, რომლებიც ძირითადად ხელს უწყობენ მოსახლეობის მიგრაციას სოფლიდან ქალაქში.

ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ „სამეწარმეო კანონი“ აუცილებლად უნდა შეიცვალოს და გახდეს ფერმერების ხელისშემწყობი, რათა ცნობილი მეწარმეების გვერდით გამოჩნდნენ ახალი გვარებიც. ამ მიზნით გაზეთის ტრიბუნა დავუთმეთ არაერთ ქართველ ცნობილ თუ დამწყებ მეწარმეს.

ვამხილეთ სასაქონლო ბაზრებში გამოტანილი ფალსიფიცირებული სასურსათო პროდუქტები.

ჩანართის რედაქტორმა ამ რამდენიმე წლის წინათ საკითხი დასვა „ვაზისა და ღვინის ისტორიის“ შექმნის შესახებ, რომელიც განიხილეს შესაბამისმა სტრუქტურებმა და უკვე დაიწყო მუშაობა ისტორიის შესაქმნელად. „დედოზარი“ მხარში ამოუდგა ლაგოდეხის „მეთამბაქოეთა კავშირს“, არაერთი მამხილებელი წერილი გამოვაქვეყნეთ დარგში შექმნილ პრობლემებზე, არ მოვერიდეთ ხელმძღვანელი მუშაკების კრიტიკასა და მხილებას და ამის შედეგია, რომ წლეულს ლაგოდეხელები უკვე 100 ტონამდე თამბაქოს ნედლეულის მიღებას ვარაუდობენ...

ჩვენ ერთ-ერთმა პირველებმა ავტეხეთ განგაში მდინარე დურუჯის მივიწყებული პრობლემების გარშემო. გამაფრთხილებელი წერილები დავუგზავნეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის სამინისტროს, ყვარლის რაიონის ხელმძღვანელობას, შევხვდით გეოფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომელთაც შედეგად „საგანგაშო სისტემა“ დაამონტაჟეს მდინარეზე, თუმცა, პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. მით უფრო, ახლა, რადგან სადაცაა თოვლის დნობა დაიწყება და მდინარე შეიძლება კვლავ მოდიდდეს...

ასევე გამოვააშკარავეთ ფოთში, მდინარე რიონის სათავე-ნაგებობის ავარიული მდგომარეობა, რომელსაც აქტიურად გამოეხმაურნენ

იხ. მე-8 გვ.

ღიმილი

— დაცვაზე უთუოდ შემეკითხებიან სოფლად თანამედროვე შრომის იარაღებზე, ამიტომ ცოტას წავიმეცადინებ, ემანდ, არაფერი შემეშალოს და სირცხვილი არ ვჭამო... დისერტაცია დაუწერესო — მითქმა-მოთქმა არ ამიხდეს...

როლანდ ბასილაშვილის ტექსტი.



ლევან მართაშვილის ნახატი.

გზა განვლილი და გასავლელი



კვლავაც მომავლის იმედით

ქართველი კაცი თავისი ბუნებით სწავლისა და შრომისმოყვარეა. მასში სიცოცხლის ყიჟინაა, ვიდრე პირში სული უდგას. ის წლებს არ ითვლის, რადგან წუთისოფლის სიგრძეს არათუ წლებით, არამედ გაკეთებული საქმეებით ზომავს.

აი, ასეთი თვისებები აქვს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და მართვის კათედრის გამგეს, პროფესორ **მელიტონ (ანზორ) ერმილეს ძე ბახიას**, რომელსაც დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

იგი 1942 წელს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა, მამამისი, ბატონი ერმილე საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი გახლდათ, ქალბატონმა აგრაფინა მაისაიამ ხუთი შვილი გაზარდა, რომელთაგან ორი მეცნიერი, ერთი ექიმი, ერთი ხელოვნების მუშაკი და ერთიც – ინჟინერია.

მელიტონ ბახიამ აქამდე ცხოვრების საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი გზა გამოიარა. საშუალო სკოლა 1959 წელს დაამთავრა თავის მშობლიურ სოფელში. იგი დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს ამაგდარ მასწავლებლებს, პლატონ ფანცულაიას, ოთარ გახოკიას, ლავრენტი, ხუტა და თალიკო ევახნიებს, ლუბა ფოჩხუას... სკოლის დამთავრებისთანავე ორ წელიწადს იმუშავა ბრიგადირად სოფელ ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ 1966 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი წარჩინების დიპლომით დაამთავრა. მონდომებით ეუფლებოდა აგრარული ეკონომიკის მეცნიერების საფუძვლებს, ბატონ მელიტონის აღზრდილები იყვნენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღიარებული მეცნიერები და მამულიშვილები: პროფესორები ივანე ჯაში, ნიკოლოზ ლაჭყეპიანი, ასევე გერონტი სალუქვაძე და ალექსანდრე ნარჩომაშვილი. სასიამოვნო ფაქტია, რომ ღირსეული ნამოწაფარის გვერდით ისევ მოღვაწეობენ პროფესორები ივანე გოდერძიშვილი და ამირან ჩაველეიშვილი.

ინსტიტუტის შემდეგ ბატონმა მელიტონმა კვლავ წარმოებას მიაშურა. რამდენიმე წელი სოფელ ნაჯახაოს კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად იმუშავა, იქვე აირჩიეს პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 1970 წელს დაამთავრა ბაქოს სკკპ ამიერკავკასიის უმაღლესი პარტიული სკოლა, მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობებზე.

1973 წლიდან ბატონი მელიტონი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაშია. მუშაობდა კოლმეურნეობების საქმეთა მთავარ სამმართველოში, მთავარ საგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოში, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და წარმოების მართვის რესპუბლიკურ ცენტრში. პარალელურად, შეთავსებით ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და 1981 წელს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ბატონი მელიტონი, უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერი, 1982 წელს დაუბრუნდა თავის მშობლიურ ინსტიტუტს, წარმოებაში ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ მას საფუძველი მისცა აგრარული წარმოების მართვის მეცნიერების მაღალ დონეზე სწავლებისათვის; მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სკოლაში თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის საუკეთესო მაგალითია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღეს იგი უკვე, 20 წელია, რაც უნარიანად მართავს კათედრის საქმიანობას, მისი უშუალო ავტორობით და თანაავტორობით ბოლო ათი წლის მანძილზე შეიქმნა ათეულობით დასახელების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოები კათედრაზე შემავალ ყველა დისციპლინაში, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის გარდამავალ პერიოდში მაღალკვალიფიციურ აგრარიკოს-ეკონომისტთა კადრების მომზადების დონის ამაღლებისათვის. იგი, როგორც კათედრის გამგე და პროფესორი, ამაყობს იმით, რომ მისი აღზრდილები სხვადასხვა თანამდებობებზე ახლა წარმატებით მოღვაწეობენ. დღეისათვის კი, მრავალი მეცნიერის აღმზრდელი, ხუთ ასპირანტს და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს ხელმძღვანელობს.

მეცნიერმა ამ ბოლო წლებში უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში გაიარა სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟირება და მიღებულ გამოცდილებას წარმატებით ახმარს კადრების მომზადებასა და ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებს. აქტიურად არის ჩაბმული ეკონომიკის ფაკულტეტის და აგრარული უნივერსიტეტის საერთო საქმიანობაში. იგი მრავალი საუნივერსიტეტო ღონისძიების უშუალო ინიციატორია. განსაკუთრებულია ბატონ მელიტონის პიროვნული თვისებები, იგი შეუდარებელია ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომ უდიდეს სითბოსა და სიყვარულს იმსახურებს.

ბატონ მელიტონს აქვს ღირსეული ოჯახი: მეუღლე ქალბატონი ნათელა, პროფესიით ეკონომისტია და მუშაობს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ეკონომიკურ სამსახურში. გაზარდეს სასახელო შვილები: მაია და ზაზა, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ზაზამ სწავლა დიდ ბრიტანეთში გააგრძელა და მაგისტრის ხარისხი მიიღო. ამჟამად იგი კომპანია „სერმას“ თანამშრომელია.

ბატონ მელიტონ ბახიას მოღვაწეობას ღირსეულად აფასებენ აგრარული უნივერსიტიტის ხელმძღვანელობა და საქართველოს მთავრობა. იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში დამსახურებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 1999 წელს ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

ჩვენც, მისი მეგობრები, მისი ნიჭისა და ადამიანობის დამფასებლები ვუსურვებთ დასახული მიზნებისა და იდეების წარმატებით დასრულებას, ბედნიერ მომავალს. ამასთან, ვულოცავთ მას ღირსების ორდენს, რომლითაც იგი ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის...

ანდრო კიკნაველიძე,
აკადემიკოსი,
შალერ ბენია,
პროფესორი.

ღონიერია სოფელი — ღონიერია ქვეყანაც!

მკითხველი — ჩვენი ზუსტი სასწორი

(მეშვიდე გვერდიდან)

შესაბამისი სამინისტროები, დეპარტამენტი, თვითონ ფოთის ხელმძღვანელობა, საკითხიც დადებითად გადაწყდა, რამიც დიდი წვლილი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსაც მიუძღვის.

დავუმეგობრდით სიღნაღის რაიონის პატარა სოფელს – ერისიმედს, სადაც აჭარიდან ჩასახლებულნი ცხოვრობენ. იქ უმრავლესობა მრავალშვილიანი დედაა. შევქმენით ერისიმედელთა დახმარების ფონდი, თვით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამაც“ გადაურიცხა მათ სიმბოლური თანხა, შევაგროვეთ და ერისიმედელ სკოლის მოსწავლეებს უფასოდ ჩავუტანეთ სასკოლო სახელმძღვანელოები. მხარის და რაიონის ხელმძღვანელობა მხარში დაუდგა ჩვენს ინიციატივას და დღეისათვის იქ უკვე გაიხსნა საბავშვო ბაღი, დაინიშნა ექიმი. იმედია, მალე საპატრიარქოც გამოიჩენს ინიციატივას და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე ამ პატარა სოფელს მართლმადიდებლური ეკლესიის აშენებაში დაეხმარება...

ვცდილობთ, მკითხველამდე მივიტანოთ ქართული ხალხური ტრადიციები, ადათ-წესები, სოფელი ხომ სულიერების კიდობანია. ვცდილობთ, ვწეროთ გამართული ქართულით.

„დედოზარი“ თავიდან ყოველთვიურად 7 გვერდზე იბეჭდებოდა, ახლა მისი მოცულობა 4 გვერდია, თუმცა, სათქმელ-საკეთებელი ზღვაა, რადგან ეს-ესაა იდგმება რეალური ნაბიჯები სოფლის საკეთილდღეოდ (მხედველობაში გვაქვს მსოფლიო ბანკის ის გრანდიოზული პროექტები, რომლებიც დღეს თუ ხვალ ამოქმედდება).

„დედოზარის“ შემოქმედებითი ჯგუფი გასავლელ გზაზე კვლავაც შეეცდება იმედი არ გაუცრუოს მკითხველს, სოფელს... ჩვენთან არაერთი პრაქტიკანტი და ახალბედა ჟურნალისტი დაფრთიანდა. მათ შორისაა ჩვენი ლელა მანაველიშვილი, რომელიც „დედოზარში“ დღემდე აქტიურად თანამშრომლობს, ხოლო ზოგიერთი კი ისე დავაოსტატეთ, რომ ჩვენთან და სხვა გაზეთში კორესპონდენტებად მუშაობენ.

იმასაც ვიტყვით, რომ ჩანართი „დედოზარი“ ტექნიკურ-მხატვრული თვალსაზრისითაც მიმზიდველია, რაშიც დიდი ღვაწლი ტექნიკურ რედაქტორს გივი მელიქიშვილს და ჩვენს ფოტოკორესპონდენტებს ჯავარ ლომაძეს, თედო ნიკოლაიშვილს მიუძღვით.

... და ამ წლების განმავლობაში „დედოზარის“ შემოქმედებითი კოლექტივის შესაძლებლობანი არამც თუ ამოიწურა, არამედ ახალი სასიცოცხლო ძალა შეიძინა, ძალა, რომელიც მომავლის იმედს გვაძლევს.

ასეთია, მკითხველო, ჩვენს მიერ უკვე განვლილი და გასავლელი გზების სიმძაფრე და სიძნელე. როგორც ყოველთვის, კვლავაც დიდი სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ თქვენს სურვილებს.

ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, ხვალემ კი თვითონ თქვას ხვალისა!

პირველად ხომ მართლაც იყო სიტყვა!

„დედოზარის“
სარედაქციო კოლეგია.

დელიკატესი

ალაზნის პირსა მოსულა წითელი სატაცურია...

(მეხუთე გვერდიდან)

— ბატონო დავით, სატაცურის წარმოებით, თქვენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალეთ. გვიამბეთ, როგორ დაიწყეთ მისი წარმოება?

— მოულოდნელად. გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენაზე გახლდით. ჯგუფის თავკაცი იყო საქართველო-გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ბიუროს ხელმძღვანელი, დოქტორი ეკეჰარდ კლემენსი...

მაშინ იქ ვნახე კულტურული ფორმით მოყვანილი სატაცური და ამ მცენარეზე ბატონ კლემენსს იმდენი ვესაუბრე, ლამის თავი მოვაბეზრე...

მე იგი გურჯაანის რაიონში, ჩემს სოფელ ჭანდარში მივიწვიე. ალაზანზე გავისეირნეთ. კლემენსმა პეშვით მიწა აიღო. ერთხანს ხელიდან ხელში გადაჰქონდა და აკვირდებოდა. ბოლოს მითხრა – სატაცურს აი, ასეთი სილანარევი მიწა უყვარსო.

როცა იგი ამ მცენარის სამკურნალო და კვებით ღირებულებებზე მესაუბრებოდა, სიმართლე გითხრათ, ზოგიერთ თვისებაზე ეჭვი მეპარებოდა, რადგან სატაცური მან სასწაულმოქმედ მცენარედ წარმომიდგინა. თანაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიას არ ახსოვს ამ მცენარის კულტურულ ფორმებში მოყვანის ტრადიცია და ჩვენი მცდელობა პირველი იქნებოდა.

როგორც იტყვიან, საქმეს ხელი მოვკიდეთ. ბატონმა კლემენსმა გერმანიიდან ხუთი სახეობის სატაცურის 8000-მდე ჩითილი გამოაგზავნა და შემდეგ თვითონაც მიიღო მონაწილეობა ნაკვეთის დაგეგმარებაში და მცენარის დარგვაში. იგი დღემდე გვეხმარება, გვაძლევს რჩევა-დარიგებას პლანტაციისა და სატაცურის მოვლის საკითხებში.

შარშან ორ ტონამდე პირველი მოსავალი მივიღეთ, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე კილოგრამი 5 ლარად გაიყიდა.

წლევანდელი მოსავლის აღება კი აპრილის პირველი დღეებიდანვე დავიწყეთ და ალბათ, ივნისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება. ჩვენი პროგნოზით, სამნახევარი, ოთხი ტონა სატაცური უნდა მოვკრიფოთ.

— რამდენ ჰექტარზე გაქვთ დარგული?

— 0,5-ზე.

— ძნელია მისი მოყვანა?

— საკმაოდ შრომატევადია. მთელი წელიწადი უნდა ეფერო და ელოლიავო. წელში ვერ გასწორდება კაცი, სულ მიწაზე უნდა იყო დახრილი. განსაკუთრებით ძნელია მოსავლის აღება, რადგან სატაცურის ღეროები მიწის ზემოთ არ ჩანს. მას ფესვებზე 25-30 სანტიმეტრი სიმაღლის მიწის კოკოლა აქვს გაკეთებული და როგორც კი იქიდან თავს ამოყოფს, უნდა დაუჩოქო, მოხსნა კოკოლა და ღეროები, რომლებიც 20-25 გრამს იწონის. ფესვის პირად გადაჭრა, რომელიც ხელეურებად (კონებად) შეიკვრება და გასაყიდად მზად არის. ოღონდ კოკოლა ისევ უნდა აღადგინო.

— კრეფის შუალედებს შორის რა დროა საჭირო.

— დღეში ორჯერ იკრიფება, დილას და საღამოს. ღეროს მიწის ზემოთ ამოსვლა არ უნდა აცალო, თორემ, იგი თავის ღირსებასა და თვისებებს კარგავს.

— რომელ თვისებებს გულისხმობთ?

— იგი შეიცავს **A, C, B_1** და **B_2** ვიტამინებს. მდიდარია, აგრეთვე რკინით, კალიუმით, ფოსფორით და ამასთან, ცხიმის შემცველობა 0,3 პროცენტი აქვს.

ხოლო სამკურნალო თვისებებიდან აღსანიშნავია, რომ წმენდს თირკმლებს, საშარდე გზებს, კუჭ-ნაწლავს, დადებითად მოქმედებს იმპოტენციაზე და სხვა.

ამიტომაა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში მიღებულია, როგორც სამეფო საჭმელი-დელიკატესი. სატაცური ამ ქვეყნების ადამიანებისათვის ყოველდღიურ მენიუშია გათვალისწინებული. მისგან ამზადებენ მრავალი სახის კერძებს, მათ შორის წვნიანსაც... სატაცურის მიღება უმაღაც შეიძლება. მცენარის დადებითი თვისება ისიც არის, რომ ინახება მთელი წლის მანძილზე გაყინვის ან დაკონსერვების საშუალებით.

— ძვირია?

— გერმანიაში ერთი კილოგრამი 15-25 მარკა ღირს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 10-15 დოლარი. ფასი ხარისხების მიხედვით მერყეობს.

— მომგებიანი მცენარეა?

— უდავოდ, თუ მას შეექმნება შესაბამისი პირობები მოყვანასა და რეალიზაციაში. მოგების თვალსაზრისით სატაცურს ანალოგი არ მოეძებნება. გერმანიაში, თურმე, ყველაზე წარმატებულ ფერმერად ის ითვლება, ვისაც სატაცურის პლანტაციები აქვს.

— მისი წარმოების დროს ყველაზე მძიმე პროცესი რომელია?

— პროდუქციის რეალიზაცია ჩვენში, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ქართველებმა ჯერ კიდევ არ იციან სატაცურის კვებითი და სამკურნალო ღირებულება. ჩვენც, ჯერჯერობით, რეკლამა გვიჭირს, რადგან იგი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ხომ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით...

ამ საშვილიშვილო და მეტად სასარგებლო საქმიანობაში წარმატებას გისურვებთ, ბატონო დავით! რაკი თქვენ ხელი გააქნიეთ, ღმერთი უდავოდ დაგეხმარებათ და ენთუზიაზმზე დაწყებულ საქმიანობას სასურველი შედეგიც ექნება.

...„ალაზნის პირას მოსულა წითელი სატაცურია“ – ტყუილად არ უმღერიათ ჩვენს წინაპრებს. მჯერა, ამ სიმღერას, ერთ მშვენიერ დღეს მეტი კმაყოფილებით, უნებურად, თქვენც ჩაიღიღინებთ.

ვფიქრობ, ისიც ღვთის მადლია, რომ სწორედ მაშინ იკრიფება ეს მცენარე, როცა დიდმარხვის დღეები დგას. მისგან ხომ უგემრიელესი სამარხვო კერძები მზადდება.

ესაუბრა
როლანდ ბასილაშვილი.
გენადი სანაიას ფოტო.

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძოწულია, ლია ჭიღლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით კვების პროდუქტების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს.

შესყიდვის ობიექტებია:

კვება			
№	დასახელება	განზ.	რაოდენობა
1	ფქვილი I ხარისხის	ტონა	150
2	ფქვილი II ხარისხის	-"-	60
3	წიწიბურა	-"-	12
4	ლობიო	-"-	10
5	ვერმიშელი	-"-	20
6	ბრინჯი	-"-	20
7	ფეტვი	-"-	8
8	ხორცი	-"-	12
9	ხორცის კონსერვი	-"-	20
10	თევზი	-"-	10
11	თევზის კონსერვი	-"-	10
12	ზეთი	-"-	8
13	კარაქი	-"-	10
14	შედედებული რძე	-"-	10
15	შაქარი	-"-	32
16	მარილი	-"-	9
17	ტომატ-პასტა	-"-	5
18	კარტოფილი	-"-	100
19	კომბოსტო	-"-	80
20	ხახვი	-"-	32
21	სიგარეტი	კოლ.	500000

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2002 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, **DDP** პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცენტრალური ბაზა, ქიზიყის ქ. № 1.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი) შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380060, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604, 7 მაისიდან 10 მაისის დღის 17 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, 20 მაისიდან 22 მაისის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე **– ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604.** სატენდერო მოსაკრებლის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში – 1512. სახელმწიფო სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი ეროვნული ბანკი, კოდი 220101107 ა/ა 000141107.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – მამუკა ხელაძე (**ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604**). **ტელეფონის ნომერი: 37-83-28.**

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პირადი შემადგენლობის სანივთე ქონებით უზრუნველყოფის მიზნით შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს:

შესყიდვის ობიექტებია:

სანივთე ქონება			
№	დასახელება	ზ/ერთ	რაოდენობა
1	ფეხსაცმელი მაღალყელიანი	წყ	1150
2	პირსახოცი	ცალი	5000
3	სარეცხის საშუალებები	კგ.	5000
4	საპონი	-"-	5000
5	ფეხსაცმლის საცხი	ცალი	1500
6	საბანი	-"-	1000
7	ლეიბი	-"-	1000
8	ბალიში	-"-	1000

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2002 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, **DDP** პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცენტრალური ბაზა, ქიზიყის ქ. № 1.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი) შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380060, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604, 7 მაისიდან 10 მაისის დღის 17 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

– ცნობას, მინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, 20 მაისიდან 22 მაისის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე – **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604.** სატენდერო მოსაკრებლის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში – 1512. სახელმწიფო სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი ეროვნული ბანკი, კოდი 220101107 ა/ა 000141107.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – მამუკა ხელაძე (**ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604**). **ტელეფონის ნომერი: 37-83-28.**

განცხადებები

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს ღია ტენდერებს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ საკანცელარიო და სახარჯი მასალების შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტებია:

საკანცელარიო საქონელი			
№	დასახელება	განზ.	რაოდენობა
1	2	3	4
1	კარტრიჯი HP 6 L	ც	40
2	კარტრიჯი HP 1100	"	20
3	კარტრიჯი HP 49-A	"	8
4	კარტრიჯი HP 29-A	"	8
5	კარტრიჯი EPSON -600 ფერადი	"	6
6	კარტრიჯი EPSON -600 შავი	"	6
7	კარტრიჯი CANON E -30	"	4
8	ტონერი XEROX 5316	"	6
9	ტონერი VIVACE 340	"	10
10	ქაღალდი A-4 . 80 გრ	შეკვრა	750
11	ქაღალდი A-4 . 70 გრ	"	200
12	ქაღალდი A-3 . 80 გრ	"	6
13	ფაქსის ქაღალდი 20 მ	ცალი	60
14	ჩასანიშნი წებოვანი ქაღალდი	"	150
15	ფაილი გამჭვირვალე	"	3000
16	კონვერტი A-4	"	1500
17	კონვერტი A-5	"	2000
18	საკანცელარიო წიგნი	"	300
19	ბლოკნოტი	"	60
20	სწრაფჩამკერი / საქაღალდე	"	3000
21	კალამი (REYNOLDS MEDIUM)	"	3000
22	ფანქარი წაშლადი	"	600
23	საშლელი	"	200
24	მარკერი	"	300
25	რვეული 48 ფურცლიანი	"	1500
26	სტეპლერის სამაგრი	"	50
27	სკობი 24/6	"	150
28	სახვრეტელა სამუშაო	"	30
29	სკრეპი	"	400
30	ჭიკარტი	"	200
31	კორექტორი კალამი	"	300
32	კალკულატორი	"	30
33	ასლგადამღები	"	20
34	სკოჩი დიდი / პატარა	"	100
